ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

26 იანვრიდან!

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+

ნინო ბასილია

შიში

წიგნი და გაზეთი ერთად 1 ლარი



[esif,fsb7 @^ bfydfhb7 @)!@ 121 (5711) afcb5 #) stshb

# რესპუბლიკელები და ალასანია ივანიშვილს პარტიის შექმნაში ხელს უშლიან?!



გვ.3

რა ხდება „ქართულ ოცნებაში“

გვ. 2

## დავით ბერძენიშვილი: სააკაშვილი უფრო მწარედ დაისჯება, ვიდრე შევარდნაძე“



## დღეს ბაქრაძეს ცარიელ ქვაბებს დაუბრახუნებენ გვ. 5



გვ. 5

## ნიკა ლალიაშვილი: 26 მაისის დარბევა გამოსაძიებელია“



გვ. 7

## ქართველების ევროპელობა გრიგოლ ვაშაძემაც დაადასტურა



გვ. 4

## მურმან დუმბაძე: აჭარას ნარღვნა ემუქრება!“

ბიძინა გუჯაბიძე: ჩვენ არ გვინდა პოლიტიკაში ისეთი ქალები, როგორებიც ჰყავს ნაციონალურ მოძრაობას“



გვ.6



გვ.2

სოსო ცინცაძე: ნაციონალები ისევ უმრავლესობით მოვლენ!“

როგორ და რატომ იმართლებს თავს დავით ბაქრაძე



გვ.6

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+

ფვეყლცტყბ

* კფჰბ

!* ბფყდჰბლფყ





ISSN 1987-9385

7 მეღვინეობის ინსტიტუტი ნადგურდება

5 სომხური პრესა ქართულზე თავისუფალია

6 ხელისუფლება მომავალ არჩევნებსაც გააყალბებს

10 ხვალ თეონა ქუმსიაშვილს გაიხსენებენ

# დავით ბერძენიშვილი: სააკაშვილი უფრო მწარედ დაისჯება, ვიდრე შევარდნაძე“


დავით ბერძენიშვილი

დავით ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ ივანიშვილის კოალიცია საპარლამენტო არჩევნებს მოიგებს. მისი თქმით, ამას სააკაშვილიც აცნობიერებს და ხვდება, რა ჯოჯოხეთური იქნება მისთვის საპრეზიდენტო ვადის დასრულება ასეთო საპარლამენტო ოპოზიციის პირობებში.

ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ოპოზიციის გამარჯვებას საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც ძველზე უარესია, ხელს ვერ შეუშლის.

– არსებულ საკანონმდებლო სივრცეში ჩვენ მზად ვართ, რომ ხელისუფლებას მაინც მოვუგოთ არჩევნები. წუწუნს არ ვაპირებთ. არ ვაპირებთ იმის თქმას, რომ ცუდი კანონია და ამიტომ შეუძლებელია არჩევნების გზით ხელისუფლების დამარცხება. ფაქტები მეტყველებს საპირისპიროს, – აცხადებს რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი.

იქნება თუ არა ამერიკის პრეზიდენტთან სააკაშვილის შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტისთვის მხარდამჭერი და ძალაუფლების შენარჩუნებისთვის გარკვეული ფაქტორი და არის თუ არა პასიურ მდგომარეობაში მყოფი ივანიშვილის კოალიცია მხოლოდ ივანიშვილის ფინანსების იმედად? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერ დავით ბერძენიშვილთან.

შორენა კოწოწაშვილი

***– ბატონო დავით, ქართული ოცნების ოპონენტები აცხადებენ, რომ იმ ფონზე, როდესაც სააკაშვილი აქტიურ საარჩევნო რეჟიმშია, ივანიშვილის ფლანგი პასიურობს. ივანიშვილის კოალიციის პასიურობა არ დააზარალებს პოლიტიკურ პროცესს?***

– ,,ქართულ ოცნებას“ ჰყავს ერთი ოპონენტი, ეს არის საქართველოს ხელისუფლება. სხვა ოპონენტებს ქართულ პოლიტიკაში მე არ ვიცნობ. ახლა ვინ რას ლაპარაკობს ყოფილი პოლიტიკოსებიდან, ეს არ არის არსებითი. სხვა პოლიტიკურ ძალას, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს ,,ქართული ოცნების“ ოპონენტად, მე ნამდვილად არ ვიცნობ.

***– თვითონ პოლიტიკურ პროცესზე რას იტყვით, რამდენად აქტიურია ოპოზიციური ფლანგი და მართლაც აგონიაშია თუ არა ხელისუფლება, როგორი შეფასებებიც კეთდება?***

– ხელისუფლება რომ ძალიან შეშფოთებულია და პირადად სააკაშვილი, ამას ჩვენ ყოველდღე ვხედავთ. სააკაშვილი ასეთი შეშფოთებული რომ არ იყოს, არჩევნებამდე თითქმის ერთი წლით ადრე არ დაიწყებდა დღეში სამი-ოთხი შეხვედრის ჩატარებას და მის ტირაჟირება-პროპაგანდას. ხელისუფლება, რა თქმა უნდა, დარწმუნებულია, რომ ძალიან მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევს. სამართლიანთან მიახლოებულ არჩევნებში ხელისუფლების შანსები პრაქტიკულად ნულის ტოლია. ამიტომ რეპრესიულ-პროპაგანდისტული მანქანაა ამუშავებული, ჩვენი კოალიციის წარმომადგენლებზე არის ზეწოლა, არის ხალხი დაკავებული. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ლანჩხუთი იქნება ეს, ახმეტა, გორი თუ სხვა ადგილები, ამ რეპრესიებს ჩვენ ვხედავთ.

***– თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლებას მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევს. იგივე მიხეილ მაჭავარიანი საუბრობს, რომ ოპოზიციას ხელისუფლებაზე ბევრი ფული აქვსო.***

– საუბარი ფულზე არის სახელისუფლებო კლიშე, რომელიც პრინციპში ხელისუფლებამ დანერგა არასახელისუფლებო წრეებში. რამდენი ფულიც არ უნდა ჰქონდეს ბიძინა ივანიშვილს, პოლიტიკურ ფულად ის აქცევს გაცილებით უფრო ნაკლებს იმიტომ, რომ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავს პოლიტიკური ფულის რაოდენობას საარჩევნო პროცესში. უამრავი მექანიზმი არსებობს, რომელიც არ მისცემს არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს შესაძლებლობას, რომ რამდენიმე ათეულ მილიონზე მეტი დახარჯოს არჩევნებში. ახლანდელი ბოლო ცვლილებებით ხელისუფლება ცდილობს, რომ საერთოდ რამდენიმე მილიონიც კი ვერ დახარჯოს არჩევნებში. ასე რომ, საუბარი ივანიშვილის ფულზე, ეს არის სახელისუფლებო კლიშე, ატაცებული იმ ადამიანების მიერ, ვინც ან ვერ ერკვევიან ამ საკითხში, ან მიზანმიმართულად საუბრობენ, რომ ფულია თითქოს მიზიდულობის ცენტრი ივანიშვილთან. ფული ძალიან ბევრი ჰქონდა ბადრი პატარკაციშვილს, მაგრამ ოთხჯერ მეტი ხმა მიიღო გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა.

***– ბატონო დავით, რა კომენტარს გააკეთებდით გია ბურჯანაძის განცხადებაზე, რომელიც ამბობს, რომ: რა განსხვავებაა ნაცმოძრაობასა და ისეთ პოლიტიკურ ჯგუფს შორის, ვინც ამას აცხადებს: შენ უნდა იყო კოალიციაში და შენ არა.***

– ივანიშვილის პოლიტიკური გემოვნების საკითხი ძალიან გემოვნებიანი ადამიანის, გია ბურჯანაძის შეფასების ობიექტი გამხდარა და ეს ბატონ გიას უნდა ჰკითხოთ. მე რა გიპასუხოთ იმაზე, რატომ მოსწონს ივანიშვილს ,,რესპუბლიკელები“ და ,,თავისუფალი დემოკრატები.“

***– პოლიტიკოსების ნაწილი საუბრობს, რომ ხელისუფლებასთან დიალოგის გზით უფრო უარესი საარჩევნო კანონმდებლობა მივიღეთ, ვიდრე იყო. ივანიშვილის კოალიცია კი ამას არ აპროტესტებსო.***

– როცა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას ვაწარმოებდით, ეს ხალხი გვსაყვედურობდა ხელისუფლებასთან საარჩევნო თემაზე მოლაპარაკებას რატომ აწარმოებთ, მაინც არაფერს იზამსო. როდესაც ხელისუფლებამ მიიღო მართლაც იმაზე უარესი კოდექსი, ვიდრე გვქონდა, ახლა გვსაყვედურობენ, ამაზე რატომ არ წუწუნებთო. კიდევ ვაცხადებ, არ ვიწუწუნებთ. ჩვენ ნებისმიერი საარჩევნო გარემოს პირობებში ვართ მზად, ვეპაექროთ ხელისუფლებას და ძალიან მაღალი ალბათობით ჩვენ შევძლებთ მის დამარცხებას. ეს პირველი შემთხვევა კი არ არის. 2003 წელს კარგი საარჩევნო გარემო გვქონდა თუ კარგი საარჩევნო კანონმდებლობა? თუ 1990 წელს კომუნისტები ხელისუფლები არ იყვნენ? ეს არის მორიგი კლიშე. შეუძლებელია არცთუ მთლად სამართლიანი საარჩევნო გარემოს პირობებში მოქმედი ხელისუფლების დამარცხება. ორჯერ დამარცხდა საქართველოს ხელისუფლება არცთუ სამართლიანი საარჩევნო გარემოს პირობებში. ჩვენი უპირატესობა ხელისუფლებასთან გაცილებით მეტია, ვიდრე ეს იყო 2003 წელს. ამიტომ არსებულ საკანონმდებლო სივრცეში ჩვენ მზადა ვართ ხელისუფლებას მაინც მოვუგოთ. წუწუნს არ ვაპირებთ. არ ვაპირებთ იმის თქმას, რომ ცუდი კანონია და ამიტომ შეუძლებელია არჩევნების გზით ხელისუფლების დამარცხება. ფაქტები მეტყველებს საპირისპიროზე.

***– ფიქრობთ, რომ სააკაშვილი ამ არჩევნებს დათმობს?***

– სააკაშვილი წააგებს ამ არჩევნებს.

***– წააგებს იმ ფონზე, როცა სახელისუფლებო რესურსი მის ხელშია და დასავლეთიც მას მხარს უჭერს? ყოველ შემთხვევაში გაყალბებებს სათანადოდ მასშტაბურად არ მიიჩნევს.***

– შევარდნაძის და აბაშიძის ხელშიც იყო სახელისუფლო რესურსი. 2003 წელს შევარდნაძეს და აბაშიძეს ძალიან არ უნდოდათ, განსაკუთრებით აბაშიძეს, არჩევნების დათმობა, მაგრამ მათ არა მხოლოდ არჩევნების დათმობა მოუწიათ, არამედ აბაშიძე ქვეყნიდანაც წავიდა. თან ისე, რომ ვერ დაბრუნდება. ასე რომ, ფაქტებით ვილაპარაკოთ. არასაარჩევნო გზა მოსინჯულია საქართველოში და პასუხიც გაცემულია ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ხალხის მიერ. არასაარჩევნო გზამ შედეგი რომ ვერ გამოიღო, ეს ყველა ჭკუათმყოფელი ადამიანისთვის იყო ცნობილი 26 მაისამდეც. 26 მაისის შემდგომ კი ეს უბრალოდ დადასტურდა.

***– თემურ ალასანია, პრეზიდენტის ბიძა, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველია, ვერ შეძლებს, დაეხმაროს სააკაშვილს ძალაუფლების შენარჩუნებაში?***

– რას გულისხმობთ, რომ პრეზიდენტის ბიძა ალასანია არის თუ არა პუტინის კაცი სააკაშვილის ხელისუფლებაში?

***– კი.***

– კონტაქტები რომ აქვს სააკაშვილს რუსეთის ხელისუფლებასთან, რად უნდა ამას მარტო ბიძა ალასანია. ბენდუქიძე იქ ჰყავს, ნაყოფია, შარანგიები და ა. შ. სახელისუფლებო ბიზნესი პრაქტიკულად რუსეთის მოქალაქეების და რუსული სახელმწიფოს კაპიტალის ხელშია და არა მხოლოდ კერძო კაპიტალის ხელში. მაგრამ გადაწყვეტილებას იღებს ქართველი ხალხი და ვერავითარი ჩრდილოური წახმარებები ხელისუფლებას ქართველ ხალხზე ვერ გაამარჯვებინებს, ისევე, როგორც არანაირად არ არის მოსალოდნელი დასავლური წახმარებები ამჟამად სააკაშვილზე.

***– ანუ ფიქრობთ, რომ სააკაშვილის მხარდამჭერად ვერ ჩაითვლება ამერიკის პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა?***

– 2003 წელს მანამდე იმდენჯერ შეხვდა შევარდნაძე ამერიკის და ევროპის ბევრი ქვეყნის ხელისუფალს, რომ სააკაშვილს არ დაესიზმრება. მისი პირადი მეგობარი ბეიკერი ჩამოვიდა, მაგრამ შევარდნაძე არაადეკვატური იყო და რომ ეუბნებოდნენ, არჩევნები ნორმალურად ჩაატარე და ხელისუფლებიდან წასასვლელად მოემზადეო, მან არ დააპირა ხელისუფლების გაყოფა და მოუხდა წასვლა სულ. სააკაშვილს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კიდევ რჩება დრო პრეზიდენტობის, თუმცა ის ხედავს და მე ვფიქრობ, საფუძვლიანად თვლის, რომ საპარლამენტო არჩევნებს თუ წააგებს, მისი პრეზიდენტობა იქნება ჯოჯოხეთი და კოშმარი და პრაქტიკულად დამთავრდება პრეზიდენტობაც. ამიტომ სააკაშვილი ყველაფერს ეცდება, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს, მაგრამ ქართველი ხალხის და დასავლეთის წინააღმდეგ ერთობლივი სვლის რესურსი სააკაშვილს დღეს არა აქვს.

***– დაბოლოს, ბატონო დავით, თქვენ ძალიან თავდაჯერებული საუბრობთ, რომ ამ საპარლამენტო არჩევნებს ოპოზიცია, კონკრეტულად ივანიშვილის კოალიცია მოიგებს. მერაბიშვილის და ახალაიას პირობებში რამდენად შესაძლებელია უმრავლესობით მოსვლა პარლამენტში?***

– კახა თარგამაძეს „რკინის კაცს“ეძახდნენ, ისიც იყო შინაგან საქმეთა მინისტრი. შევარდნაძეს ბევრი სხვა მინისტრიც ჰყავდა. აჭარაში მაგალითად ცხვირს ვერ ყოფდა ვერც ერთი ოპოზიციური პარტია, რესპუბლიკელების გარდა. ვითარებაა ისეთი, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. არა, ვთქვათ, ის, რომ ქართული ოცნების კოალიცია არის დარწმუნებული არჩევნების მოგებაში. ერთადერთი რეალური ძალა, ვისაც შეუძლია ხელისუფლების დამარცხება, ეს არის პოლიტიკური კოალიცია ქართული ოცნება.

***– თქვენ უკვე მერამდენედ ადარებთ მიხეილ სააკაშვილს ედუარდ შევარდნაძეს. სააკაშვილმა ხომ არაერთხელ დაამტკიცა, რომ ის შევარდნაძე არ არის.***

– რა დაამტკიცა სააკაშვილმა, რომ ის შევარდნაძეზე მაგარია? შევარდნაძე 30 წელი მართავდა, სააკაშვილი 8 წელიწადში დაამთავრებს.

***– სააკაშვილმა დაამტკიცა, რომ შევარდნაძეზე ნაკლებ ტექნიკური და სასტიკი მმართველი არ არის.***

– ამიტომ, როგორც ჩანს, უფრო მწარედ დაისჯება, ვიდრე შევარდნაძე.

# სოსო ცინცაძე: ნაციონალები ისევ უმრავლესობით მოვლენ!“

შორენა გონგლაძე

ნაციონალურმა მოძრაობამ მაჟორიტარი კანდიდატების შერჩევა დაიწყო. გავრცელებული ინფორმაციით, მმართველი პარტია მაჟორიტარული მანდატების უმეტესობის მოპოვებას მსხვილი ბიზნესწრეების წარმომადგენლების მეშვეობით აპირებს. რამდენად პროდუქტიული იქნება ნაციონალების ეს გადაწყვეტილება, აღმოჩნდება თუ არა მმართველი პარტია ისევ უპირატეს მდგომარეობაში, ამ კითხვებით პოლიტილოგ სოსო ცინცაძეს მივმართეთ.

***– ბატონო სოსო, როგორც ცნობილია, ხელისუფლება მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გათვლას ძირითადად ბიზნესწრეების წარმომადგენლებზე აკეთებს, რამდენად მომგებიანი იქნება მმართველი პარტიისთვის აღნიშნული გადაწყვეტილება?***

– მე არა მგონია, რომ ბიზნესმენებზე აქცენტი იყოს პროდუქტიული, მთავარი ის კი არ არის, არჩევნებს ვინ მოიგებს, მარტო ამაზე არ უნდა იფიქროს ნებისმიერმა პარტიამ, იმაზეც უნდა იფიქროს, შემდეგ პარლამენტში როგორი იქნება სიტუაცია. ჩემი აზრით, ნაციონალებს პარლამენტში უმრავლესობა ექნებათ, იმიტომ, რომ მე ვუყურებ ოპოზიციაში, რაც ხდება. აქედან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება და სადღეისოდ უკვე ნაციონალებს ძალზე სერიოზული ფორა აქვთ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების, სტრატეგიის, ტაქტიკის, მეთოდიკის და ასე შემდეგ, ვინაიდან როგორც ჩანს, ჩემი გათვლებით პარლამენტი იქნება არა ერთფეროვანი, იქ რამდენიმე პარტია იქნება წარმოდგენილი, არა ახლა როგორც ორია, შეიძლება სამი-ოთხი პარტია იყოს წარმოდგენილი, ამიტომ მომავალი პარლამენტი იქცევა სადისკუსიო არენად, რაც უნდა იყოს პარლამენტი, ხოლო დისკუსიაში როგორც ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, დღეს ჩვენი ბიზნესმენები მაინცდამაინც პოლიტიკურად გაწრთვნილები და პოლემისტები არ არიან. არავინ არ მეგულება, ყოველ შემთხვევაში მე არც ერთი ქართველი ბიზნესმენი არ ვიცი არც დღევანდელი არც გუშინდელი, რომელიც ყოფილიყოს კარგი საპარლამენტო პოლემისტი, საპარლამენტო მებრძოლი, ასეთი ბიზნესმენი მე არ მეგულება

თუ ნაციონალებიდან ძირითადი დამრტყმელი ძალა მომავალ სადისკუსიო პაექრობაში იქნებიან ბიზნესმენები, ვფიქრობ, რომ პოლემიკაში ხშირად არ იქნება გამარჯვების სასწორი მმართველი პარტიის მხარეს, იმიტომ, რომ აქ სჭირდება მეცნიერები, სპეციალისტები კარგი პოლემისტები, სამწუხაროდ, მმართველ პარტიაში მას შემდეგ, რაც პარლამეტი დატოვა გიგა ბოკერიამ მე პოლემისტს ველარ ვხედავ, აღარ არის პოლემისტი მმართველ პარტიაში, მეტნაკლებად ვთქვათ გოკა გაბაშვილი, რომელიც პასუხობს ხოლმე სხვას მე ვერ ვხედავ იმ სიმაღლეზე, როგორც პოლემისტები. შეიძლება საკაბინეტო მუშაობაში, კომისიებში, ქვეკომისიებში ძალიან ეფექტურად მუშაობენ, კანონებზე მუშაობა რასაც საზოგადოება ვერ ხედავს, მაგრამ რასაც საზოგადოება უყურებს, რასაც ჟურნალისტები პრესის ფურცლებზე ავრცელებთ, არ ჩანს იქიდან. ისეთ წამყვან სფეროში როგორიც არის საგარეო პოლიტიკა, მე არ ვიცი შეიძლება მინაშვილი ძალიან მომზადებული თეორიტიკოსია საგარეო პოლიტიკის სფეროში, მაგრამ როგორც პოლემისტი ვერ შედგა ეს ბიჭი, ნებისმიერი საპოლემიკო დუელი უჭირს მას ელემენტარულად და ასეა კიდევ ბევრი სხვა.

***– თქვენ ახსენეთ, რომ ნაციონალები იქნებიან უმრავლესობით და განაცხადეთ, რომ იცით, რაც ხდება ოპოზიციაში, რა ხდება ოპოზიციაში?***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

2(-)-(!

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# რესპუბლიკელები და ალასანია ივანიშვილს პარტიის შექმნაში ხელს უშლიან?!

ნათია ხურცილავა

## რა ხდება „ქართულ ოცნებაში“

**ნანა დევდარიანი „ქართული ოცნების“ დატოვების მიზეზებზე საუბრობს. ჩვენთან საუბარში დევდარიანი აცხადებს, ვინ აბრკოლებს ივანიშვილის პარტიის შექმნას.**

**რა მოხდა „ქართულ ოცნებაში“, ამ საკითხზე ინტერვიუ ჩავწერეთ ნანა დევდარიანთან.**

***— ქალბატონო ნანა, „ქართულ ოცნებიდან“ თქვენი წამოსვლის რეალური მიზეზი რა იყო? რატომ ვერ შეძელით, რომ დარჩენილიყავით და პოზიციები შეგეჯერებინათ?***

— ჩემი წამოსვლა აბსოლუტურად არ ნიშნავს, რომ ან „ქართული ოცნებაა“ ცუდი, ან მე ვარ ცუდი. წამოვედი იმიტომ, რომ რაღაც იყო ჩემთვის მიუღებელი. სიტუაცია არ მომეწონა სამუშაოს თვალსაზრისით.

***— რა მიმართულება გებარათ?***

— პარტიის მშენებლობა, მისი სტრუქტურის ჩამოყალიბება. ამის გარეშე არჩევნების მოგება შეუძლებელია.

***— რასაკვირველია...***

— მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მეტისმეტად თავდაჯერებული, დამშვიდებული და არხეინი დამოკიდებულებაა ამის მიმართ. ორი თვით ადრე დაიწყება აქტივობა და ყველაფერს მოასწრებენ, ასეთი დამოკიდებულებაა. ეს ასე არ არის. ისედაც ძალიან ცოტა დრო არის დარჩენილი, დაახლოებით ცხრა თვე. ადრეც არაერთხელ ვთქვი და ვიმეორებ, რომ ამ ყველაფერთან ერთად ვიგრძენი, რომ ამ პროცესში აქტიურად ერეოდნენ „რესპუბლიკელები“ და ალასანიას პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი. მე არ მესმის, სხვა პარტიამ რატომ უნდა გადაწყვიტოს ბიძინა ივანიშვილის პარტიაში, რა როგორ უნდა იყოს. ეს არ არის სამუშაო ვითარება.

***— რა კუთხით ერეოდნენ „რესპუბლიკელები“ ან ალსანიას პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი, როგორც თქვენ ამბობთ?***

— ამას დეტალებში ნუ მომაყოლებთ, მაგრამ ჩარევები იყო.

***— პარტია ხომ უნდა შექმნილიყო?***

— ვიღაც მოსწონდათ, ვიღაც არ მოსწონდათ. მე არ მიმაჩნია პოლიტიკურად კორექტული, რომ სხვა პარტიაში ვიყო და მეორე პარტიას, რომელთან ერთადაც კოალიციაში ვაპირებ არჩევნებზე გასვლას, მე ვუკარნახო მის პარტიაში ვინ იყოს. მით უმეტეს, რომ პირველი და მთავარი პერსონა ბიძინა ივანიშვილი არის. ეს ურთიერთობები უნდა დალაგდეს და გაირკვეს. ეს ჩემთან ერთად მოხდება თუ ჩემ გარეშე, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე მივხვდი, რომ ამის გარკვევაში წამივიდოდა მთელი დრო, იმის მაგივრად, რომ მემუშავა. ძალიან ბევრი და ძალიან მძიმე სამუშაოა. გულით ვუთანაგრძნობ მამუკა არეშიძეს, უმძიმესი ტვირთი აქვს წამოკიდებული. მე იქ ვიქნები თუ არა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იმას მაინც ვისურვებ, რომ მამუკას მისცენ მშვიდად, ხელფეხგახსნილად, ნორმალურად მუშაობის საშუალება.

***— როგორც მამუკა არეშიძემ განაცხადა, ის წუხს, რომ თქვენ ვერ შეგინარჩუნათ...***

— ვიცი, რომ განიცდის და ბოდიშებს იხდის. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ მამუკას ბრალი არაფერი არ არის. თუ მას რჩევა დასჭირდება ან რაღაცის თქმა, არასდროს ამაზე უარს არ ვეტყვი. უბრალოდ, იმ სტრუქტურაში არ ვიქნები. ეს არის ჩემი გადაწყვეტილება, მაგრამ თუ მამუკა რაღაც რჩევას მკითხავს ან მომეთათბირება, ამას პიროვნულ დონეზე სრულიად უსასყიდლოდ გავაკეთებ. ისედაც არავისთვის არ დამიმადლებია, თუ ვინმეს ჩემი ან გამოცდილება, ან პრაქტიკული რჩევა დასჭირდება, მე არავის უარს არ ვეტყვი, ოღონდ კი ქვეყანას რამეში წაადგეს.

***— კონკრეტულად რომ გვითხრათ, რა დონეზე არის პარტიული სტრუქტურის მშენებლობა? როგორც ამბობენ, თებერვლის პირველ რიცხვებში პარტიულ სახეებს გააცნობენ საზოგადოებას...***

— სახეების შეკრების პრობლემა არა აქვს ბიძინა ივანიშვილს. პრობლემა არის სახვა რამეში.

***— კონკრეტულად?***

— პარტიის მშენებლობა არ არის მხოლოდ ცნობადი სახეების შემოკრება. არჩევნებს ის კი არ იგებს, რომ საარჩევნო სიაში კარგი ადამიანები გყავს, თუმცა ამასაც აქვს მნიშვნელობა, მეტსაც გეტყვით, არც სარჩევნო პროგრამა და პლატფორმა არ იგებს არჩევნებს. არჩევნებს იგებენ ადამიანები, რომლებიც უბან–უბან დადიან. თქვენ რომელ უბანშიც ცხოვრობთ და კარზე რომ მოგიკაკუნებთ თქვენი უბნელი და გეტყვით, მე ვარ ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენელი აქ, ის როგორი ადამიანია ეს გადაწყვეტს თქვენ არჩევანს. თუ მას უბანში ავტორიტეტი აქვს, პატივს სცემენ, მის აზრს ანგარიშს უწევენ, ხალხი მას დაუჯერებს და ხმას მისცემს მის პარტიას, მაგრამ თუ ეს ადამიანი უავტორიტეტოა ან საერთოდ არ არის იმ უბნელი, ან საერთოდ გაუგებარი პიროვნებაა, რაც არ უნდა კარგი ხალხი ეწეროს პარტიის საარჩევნი სიაში, იმ უბნის წარმომადგენლის გამო შეიძლება ხმები საერთოდ დაკარგო. ყრილობის ჩატარება კი არ არის პრობლემა, ყრილობაზე უამრავი კარგი ადამიანი მივა, რომელიც თანაუგრძნობს ამ პოლიტიკურ გაერთიანებას, მაგრამ ისინი არ არიან ამომრჩევლები, ამომრჩევლები არის ხშირად სრულიად უცნობი ადამიანები, რომელთაც თავისი პრობლემები, თავისი სატკივარი აქვთ და ყოველდღიურ პრობლემებზე ფიქრობენ. პრობლემებით, ყოველდღიურობით დახუნძლულ ამომრჩეველთან მისული ადამიანი, ზოგადად ვამბობ, სახალხო არტისტი კი არ უნდა იყოს ან ძალიან ცნობილი მეცნიერი, მისი უბნელი უნდა იყოს, რომელსაც ენდობა, იმის მიხედვით აკეთებს არჩევანს ამომრჩეველი. უავტორიტეტო ადამიანს რომ დაუნიშნავ, ამომრჩეველი იტყვის, ეს უნდა იყოს ივანიშვილის წარმომადგენელი? — აღარ მივცემ ხმას. სხვადასხვა მიდგომებზეა საუბარი. პარტიის მშენებლობა ასეთ პრაქტიკულ წვრილმანებზეა დაფუძნებული.

***— ძირითადად ეს პრობლემები იყო?***

— მე ეს დავინახე. თუ ეს შეიცვალა ან ახლო მომავალში შეიცვლება, მე ამას მხოლოდ მივესალმები.

***— ქალბატონო ნანა, ამბობენ, რომ ამ მოძრაობას მიუღებელი ადამიანები მიეტმასნა, თქვენ რამდენად რეალურად აღიქვამთ ამას?***

— იმდენი პოლიტიკური გამოცდილება მაქვს, რომ ასეთი რაღაცეები არ მაშინებდეს. ყველა პარტიის ან საარჩევნო გაერთიანების შექმნისას ეს ხდება. ვიღაც მიტმასნილია, ვიღაც მიგზავნილია, ვიღაცა უბრალოდ ცუდი პიროვნებაა, ეს ხდება, მაგრამ მერე ეს იწმინდება, დაილექება და ყველაფერი მოწესრიგდება, მაგრამ ამისთვის მზადყოფნა უნდა იყოს. ვისაც ჯერ პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს, მათ შორის პოლიტიკური ინტრიგების გამოცდილება ქმნის პარტიას, იქ გაცილებით უფრო მეტი საფრთხეა, რადგან ეს გამოწვევები მისთვის უცხოა. ბიზნესში არ შეიძლებოდა მას ასეთი ურთიერთობები და სიტუაცია ჰქონოდა.

***— თუმცა, ბიზნესი რაღაცით ჰგავს პოლიტიკას თუ არა?***



ნანა დევდარიანი

— არა, არ ჰგავს. ბიზნესი სულ სხვა არის. ბიზნესში გამოცდილება ძალიან კარგია, ეს ნიშნავს, რომ რაღაცისთვის მაინც ხარ მზად, მაგრამ თავისი ხასიათით პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბება და არჩევნებზე გასვლა ეს ძალიან სპეციფიკურია და არაფერ სხვას არ ჰგავს.

***— დიდი სამუშაოა შესასრულებელი?***

— ძალიან დიდი. რაც უფრო მალე მოახერხებენ, მით უკეთესი.

***— ქალბატონო ნანა, საუბარი იყო, რომ თქვენ გაიძულათ მოძრაობის დატოვება იმ ხმებმა, რაც გავრცელდა, შევარდნაძის პერიოდზეა საუბარი, რომ ბევრი მაშინდელი მინისტრი, თანამდებობის პირი აღმოჩნდა ამ მოძრაობაში. რას იტყვით ამ ბრალდებაზე?***

— ასეთი ბრალდებები არ მაინტერესებს. ჩემთვის არასერიოზულია. თუ ამ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი მისაღებია იმ ადამიანებისთვის, რატომ არის მიუღებელი თუნდაც შევარდნაძის დროინდელი რომელიღაც მინისტრი? მაგალითად, ვაჟა ლორთქიფანიძემ სრულიად მართებულად თქვა, მე რომ წამოვედი შევარდნაძის ხელისუფლებიდან, სააკაშვილი ჯერ კიდევ იქ იყოო. ეს მართლაც ასეა. ვინ ვისი სახეა, დასხდენ და კარგად იანგარიშონ.

***— სხვათა შორის, ასეთი შეფასებები მოძრაობის საგარეო გუნდის პრეზენტაციასაც მოჰყვა...***

— მოლას და ვირის იგავ-არაკის არ იყოს, რომ ყოფილიყვნენ სრულიად უცნობი სახეები, იტყოდნენ, ესენი საიდან მოიყვანეს, არავის არ ვიცნობთ, ვინ არიანო. როდესაც არიან ცნობადი ადამიანები, ამბობენ — ისევ ესენი? რა ვქნათ, საქართველო ძალიან პატარაა, ისედაც არ არის საკმარისი ადამიანური რესურსი იმისთვის, რომ რომელიმე პარტიამ თავიდან ბოლომდე ყველა სტრუქტურა დააკომპლექტოს. ეს არ მინდა, ის არ მინდა, ეს შინაბერას წუნიაობას ჰგავს. აქედან კარგი არაფერი არ გამოვა. ყველა ადამიანი უნდა შეფასდეს მისი ღირსებებითა და მისი ნაკლოვანებებით. რა ვქნათ, ვინც შევარდნაძის დროს ცოცხალი იყო, ყველა დაწყდეს? მაშინ ნაცმოძრაობის სადეპუტატო შემადგენლობის დიდი ნაწილი საერთოდ უნდა დამარხონ, რადგან ისინი შევარდნაძის სახეები არიან გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მე.

***— როგორ ფიქრობთ, როგორ კონკურენციას გაუწევს ხელისუფლებას ივანიშვილის პარტია თუ მოახერხა დარეგისტრირება?***

— იმ პარტიებისთვის, ვინც ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობს, მთავარია ივანიშვილის სახელი და მისი ფინანსური რესურსი. მე შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ისინი დაინტერესებული არ არიან, რომ მან პარტია შექმნას. მათ თავიანთი პარტიები აქვთ და ერთი საერთო სია შეიქმნება, სადაც რაღაც ნაწილს შეიყვანს ივანიშვილი, რაღაც ნაწილს თავად შეიყვანენ. თვითონ აქვთ პარტიული სტრუქტურები და თვლიან, რომ ეს სრულიად საკმარისია. ეს ჩემი აზრია, მე ასე აღვიქვი. მაინცდამაინც არ არიან დაინტერესებული მისი პარტიის შექმნით. ამის გარეშე ძალიან რთული იქნება, რადგან წამყვანი ფიგურიდან ის გახდება სხვა პარტიებზე დამოკიდებული პირი.

***— თქვენ ამბობთ, რომ კოალიციის ეს წევრები ივანიშვილს პარტიის შექმნის საშუალებას არ აძლევენ?***

— ასე ვერ ვიტყვი, მე ვამბობ, ვერ ვატყობ, რომ მონდომებულები არიან. ძალიან რთულია, რომ ამ პიროვნებისთვის ამის საშუალების არ მიცემა. მან თქვა, მე ვერავინ ვერაფერს ვერ მიკარნახებს, ყველა გადაწყვეტილებას მე ვიღებო. რა თქმა უნდა, თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ მთავარია, რომ ეს იყოს სწორი გადაწყვეტილება.

# სოსო ცინცაძე: ნაციონალები ისევ უმრავლესობით მოვლენ!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

— საქმე ის არის, რომ ოპოზოციაში არაფერი არ ხდება, ეგ არის უბედურება, ოპოზიციის მომავალი ლიდერი ვინც არ უნდა იყოს, გამოკეტილია სასახლეში, უკანასკნელ პერიოდში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ირაკლი ალასანიას, რომელსაც აგრეთვე რეგიონში ასე თუ ისე შეზღუდული რესურსი აქვს სხვა ბევრი ობიექტრური მიზეზის გამო, რა ხდება მეორე მხარეს, სააკაშვილის აქტიურობა ნახეთ როგორია, თვით „რუსთავი 2“. „იმედი“ და „პირველი არხიც“ კი ველარ ასწრებს, სრულად ასახოს მისი საქმიანობა.

რაც შეეხება ოპოზიციას, ოპოზიციიდან არის სრული პასიურობა, ჯერ სათათბიროები დგებოდა, მერე მრჩევლები დგებოდნენ, ახლა რაღაც მიმართულებები თუ საბჭოები შეიქმნა, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიაში და ელექტორატის სიმპათია ანტიპათიებში დიდ გარდატეხას ვერ შეიტანს, ამიტომ მე იქიდან ვერ ვხედავ აქტიურობას, თუ არ ჩავთვლით დათო აქუბარდიას ეთერს, რატომღაც ოპოზიციას იგივე რესპუბლიკელებს, კობა დავითაშვილს, ზვიად ძიძიგურს ძალიან ხშირად ვხედავთ მხოლოდ ერთ ეთერში, მაგრამ მარტო თბილისი არ არის საქართველო, ისე ვატყობ, იქითკენ მიდის საქმე, რომ ჩვენი ოპოზიცია იმეორებს რუსეთის ოპოზიციის სტრატეგიულ შეცდომას, როდესაც აქცენტი გადაიტანეს დედაქალაქში და მოსკოვში აქციების შედეგების აბსოლუტიზირება მოახდინეს. ასევეა თბილისში, მხოლოდ თბილისი არ არის, რეგიონებია და რეგიონებში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ალასანიას, რომელიც პატარ- პატარ ჯგუფებს ძალიან კარგია, რომ ხვდება, მაგრამ ერთ ადამიანს არ შეუძლია მოიცვას მთელი საქართველო, სად არიან დანარჩენები? რატომ არ ხვდება ივანიშვილი ხალხს? რატომ არ მოხდა საზოგადოების გაცნობა მის მეუღლესთან? ნორმალურია ეს? ქვეყნის მთავარი ოპოზიციური პარტია, რომლის ლიდერსაც ქვეყნის 99.99 პროცენტი სახეზეც არ იცნობს, თქვენ იცნობთ, ქუჩაში რომ შეხვდეთ? ტელევიზიით მაინც ერთი წინადადება მოუსმენია ჩვენს საზოგადოებას? ამ ქალბატონის? როგორი აზროვნება აქვს, როგორი სხარტი პოლემისტია, არავინ არაფერი არ იცის, მართალია ოცდამეერთე საუკუნეა ჩვენ სოციალური ქსელების და ტელევიზიის ერაში ვცხოვრობთ, მაგრამ პირად ურთიერთობას ვერაფერი ვერ ცვლის, ჩვენ კი არა, ამერიკაში, სადაც ეს შესაძლებლობები ჩვენთან შედარებით ასჯერ მაღალია, იქაც, ობამა გიჟი კი არ არის, რომ დადის ქალაქ-ქალაქ, ზოგგან მღერის და ზოგან რას შვება აუდიტორიის წინაშე. ხოლო აქ რას ვხედავთ. აქ ვხედავთ რაღაც სამზადისს, გრანდიოზული ღონისძიება, რომელსაც დაერქმევა პარტიის პრეზენტაცია, კი ბატონო, დათო აქუბარდია ალბათ გადასცემს პირდაპირ ეთერში, ეს კანონითაც დასაშვებია და პრესაც გააშუქებს ამას, მაგრამ შემდეგ რა დრო დარჩება მატერიალიზაციისათვის, მოსახლეობაში.



სოსო ცინცაძე

ოპოზიციის ერთი სეგმენტიც და დამოუკიდებელი პრესის ერთი ნაწილიც უკვე ივანიშვილისადმი რა კრიტიკულად არის განწყობილი და როგორი ფორსირებული ტემპებით მიმდინარეობს ეს კრიტიკა, ყველა ოპოზიციური პრესა ან პარტია ხომ არ ემხრობა ამ პარტიას, მე მარტო შალვა ნათელაშვილი არ მყავს მხედველობაში, ექსპერტთა და მკვლევართა ნაწილი, მეც მაგალითად პესიმისტურად ვუყურებ ივანიშვილის პროექტს, თუმცა არანაირი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიები არ მამოძრავებს, მე არავის წარმომადგენელი არ ვარ, გარდა საკუთარი თავისა. ეჭვის თვალით ვუყურებ და ვიცი, როგორ უნდა ხდებოდეს და როგორ ხდება ოპოზიციაში და ეს არის ჩემი პასუხი თუ რა ხდება ოპოზიციაში, გარდა პატარ-პატარა წვრილმანი ინტრიგებისა, იქ ნანა დევდარიანი გამოუშვეს და ასე შემდეგ.

***— ივანიშვილის შეცდემობზე ძალიან ბევრი ითქვა, თქვენ პირადად რა მიგაჩნიათ ივანიშვილის სტრატეგიულ შეცდომად?***

— ის ძალიან მოუმზადებელი შემოვარდა პოლიტიკაში, კეისრის ლოზუნგით „მოვედი, ვნახე, დავამარცხე“ არ ხდება ასე პოლიტიკაში, ის რომ მომზადებული შემოსულიყო პოლიტიკაში, არ მოხდებოდა ის დასანანი გაუგებრობები, როდესაც ივანიშვილმა მოსამართლის და პროკურორის ფუნქცია აიღო და განცხადა, რომ ეს ტელევიზია მოღალატეა, ის გაზეთი ცუდია და ეს მკვლევარი კარგია, ის მკვლევარი ცუდია.

ვინ მისცა ივანიშვილს იმის უფლება, რომ გინდა მე, გინდა რამაზ საყვარელიძე შეაფასოს, ჩვენ უნდა შეგვაფასონ ჩვენმა კოლეგებმა და საზოგადოებამ და არა ერთპიროვნულად, აი, ეს არის სტრატეგიული შეცდომა, მან უკვე თავიდანვე, ჯერ არ იყო პოლიტიკაში შემოსული, რომ უკვე არაკეთილმოსურნენი გაიმრავლა, როდესაც ჭკვიანური პოლიტიკის მთავარი მიზანი არის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა და მერე გამოსვლა პოლიტიკაში. ივანიშვილმა კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტიც ვერ უზრუნველყო თავის გარშემო, მით უმეტეს, ამხელა რესურსი ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა მისი წარსულით, მან ეს ბრწყინვალე რესურსი ვერ გამოიყენა, გაფლანგა ის რესურსი, მეცენატობა, ქველმოქმედება, დახმარებები. მას ჰქონდა ზღაპრული რესურსი, მან ეს ვერ გამოიყენა, დღეს უკვე ნელ-ნელა მისი ქველმოქმედებითი წარსული უკვე გაფერმკრთალებულია, გინდ აღიაროს, გინდ არა. მას უნდა მოეტანა დივიდენდები, მაგრამ არ მოუტანა, მან მოაწყო პირველი პრესკონფერენცია, საშინლად მოუმზადებელი, საშინლად დეზორგანიზებული და გამოვიდა საშინელი რაღაც სპექტაკლი, სადაც არავინ არ აცლიდა ერთმანეთს ლაპარაკს, სადაც ერთ კოქტეილად აირია სამთავრობო, არასამთავრობო კეთილგანწყობილი, მტრულად განწყობილი. პირველივე დებიუტი ივანიშვილის პოლიტიკაში კრახით დამთავრდა, ის პრესკონფერენცია იყო მისი დებიუტი, რომელიც სრული კრახით დამთავრდა, ორივე მხარისთვის სხვათა შორის, ჟურნალისტებისთვისაც და თვითონ ბატონი ივანიშვილისათვის, ეს მაძლევს საფუძველს ცოტა პესიმიზმით და ფრთხილად ვუყურო ამ მოვლენას.

# მურმან დუმბაძე: აჭარას წარღვნა ემუქრება!“

გულიკო ბალაძე

ნაციონალებმა აჭარის მდინარეები გაყიდეს – ნაწილი მდინარეებისა ნორვეგიელებს მიჰყიდეს, ნაწილი კი, კერძოდ ჭოროხი და მაჭახელა – თურქებს. გარდა ამისა, ცოტა ადრე ბათუმის აეროპორტი თურქეთს გადასცეს და 20 ათასი თურქის ბათუმში ჩასახლებას ხელი შეუწყვეს.

თურქები და სხვები აჭარის მდინარეებზე გრანდიოზული ჰესების აშენებას გეგმავენ, რაც წინაპრების სისხლით შენარჩუნებული კუთხის მთლიანად ნგრევას გამოიწვევს.

წყლით დაიფარება სოფლები: კირნათი, მარადიდი, ერგე, იროთი, ხერთვისი, აჭარისწყალი, მახოს ნაწილი და მოხდება უზარმაზარი ეკოლოგიური კატასტროფა.

ცნობილია კომუნისტების იდეოლოგიური თეზა: „პროლეტარებს არ აქვთ სამშობლო, მათი სამშობლო მთელი კაცობრიობაა“.

იმაზე, რასაც დღეს ნაციონალები ფიქრობენ და აკეთებენ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მათ იმ ძველი კომუნისტების ზემოთ მოყვანილი თეზა კარგად აქვთ შეთვისებული და თანამედროვე ვარიანტად შემუშავებული.

თუმცა, ნაციონალებს ქონებრივი თვალსაზრისით პროლეტარობის არაფერი ეტყობათ, იმ ძველი დებულების სულისკვეთებას თავიდან ბოლომდე ინარჩუნებენ და გულის ფიცარზე ღრმად აქვთ ჩაბეჭდილი ეს თეზა: ნაციონალებს არ გვაქვს სამშობლო, ჩვენი სამშობლო მთელი კაცობრიობაა.

რამდენად ეკუთვნიან ნაციონალები კაცობრიობას, სხვა საკითხია, მაგრამ სააკაშვილის დაჯგუფებას და მის გარემოცვას სამშობლოს განცდა რომ არ აქვთ, სრული ჭეშმარიტებაა.

სააკაშვილს და მის დაჯგუფებას სამშობლო რომ უყვარდეთ, ასე მოექცევიან ჩვენს ბუნებას, ჩვენს მდინარეებს? ასე ჰაიჰარად გააჩუქებდნენ საქართველოს სიმდიდრეებს, რომელიც ჩვენი სამშობლოსა და ხალხის სულიერი და ფიზიკური იერსახის საძირკვლია?

ამათ სამშობლოს სიყვარულის განცდა რომ ჰქონდეთ, წყალქვეშ არ მოაქცევდნენ უძველესი ეთნოგრაფიული მნიშვნელობის კერებს სვანეთში, რაჭასა და აჭარაში.

ახალგაზრდობას, ვინც არ იცის, შეიძლება გაუკვირდეს, რომ კომუნისტების მეორე დებულებაც, რომელიც ასე ჟღერდა: „გავბატონდეთ ბუნებაზე. აქამდე ბუნება ბატონობდა ჩვენზე, ახლა ჩვენ უნდა ვიბატონოთ მასზე“, როგორ ეთანადება სააკაშვილისა და მისი დაჯგუფების განზრახვებს.

რაიმეთი განსხვავდება ე.წ. ნაციონალი ხელისუფლებისა და მათი ლიდერის დამოკიდებულება და განზრახულობები კომუნისტების ამ საპროგრამო დებულებებისაგან?

ასეთივე გრანდიოზომანია სჭირდათ კომუნისტებს. თუმცა, კომუნისტები მაინც თვითონ აშენებდნენ და უცხოელებზე არ ყიდდნენ ქონებას. ამათ რომ სჭირთ, მტერს. თავისი მეთოდებით. დაუნდობლობით, პოლიტიკური მოწინააღმდეგისა და მთლიანად საზოგადოებისადმი დამოკიდებულებით არაფრით განსხვავდებიან იმ პირველი ბოლშევიკებისაგან.

აქვე ისმება კითხვა, ნაციონალების ამ ძალას რაიმე დემოკრატიული ღირებულებები გააჩნია? არაფერი, უბრალოდ, დრო შეიცვალა და ამ ბოლშევიკ კომუნისტთა სულიერი (და შეიძლება ფიზიკური) შთამომავლებისთვის, მხოლოდ ტერმინოლოგია და ფრაზები შეიცვალა, შინაარსი კი იგივეა.

ის, რასაც ნაციონალები აჭარაში აკეთებენ, მავნებლობის ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ყოველივე კი აჭარის, როგორც კუთხის არსებობას საფრთხეს უქმნის, მის ნგრევასა და განადგურებას გამოიწვევს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი, ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერი აჭარაში მურმან დუმბაძე აცხადებს, რომ აჭარას უზარმაზარი ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება. კატასტროფა თავიდან რომ ავაცილოთ, უნდა ჩავშალოთ აღნიშნული პროექტების განხორციელება. ეს მაშინ მოხდება, როცა არჩევნებზე ნაციონალებს მხარს არ დავუჭერთ.

***– ბატონო მურმან, ძალიან ამაღელვა იმის გაგებამ, რომ საქართველოს ხელისუფლებას აჭარის ხეობაც გაუყიდია.***

– პრაქტიკულად ასეა. ნაწილი მდინარეებისა ნორვეგიელებს მიჰყიდეს, ნაწილი მდინარეებისა, კერძოდ, ჭოროხი და მაჭახელა თურქეთის კომპანიებს მიჰყიდეს. სულ საერთო სიმძლავრე ამ კომპანიას აჭარაში ექნება დაახლოებით 500 მეგავატზე მეტი. დაახლოებით 600-700 მილიონის დოლარის ინვესტიციებს აპირებენ. რა ეკონომიკური ეფექტი ექნება საქართველოს სახელმწიფოსათვის, კაციშვილმა არ იცის იმიტომ, რომ პროექტში ეს არ ჩანს.

***– თანაც საზოგადოებისთვის უცნობია ამ პროექტისა და მისი სარგებლიანობის შესახებ.***

– ის, რომ კანონები ირღვევა, უნდა იყოს საჯარო ინფორმაცია, რომ საჯაროობა ამას ითხოვს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამაზე უნდა იზრუნოს და მოსახლეობას უნდა აცნობოს, რა მოსალოდნელი ეფექტები ექნება ასეთ უზარმაზარ პრივატიზაციასა და გიგანტური ჰესების მშენებლობას, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში საქართველოს კანონები ირღვევა. მოსახლეობას როცა ვხვდები, ვარკვევ, რომ ნაწილი მოსახლეობისა თითქოს ფლობს ინფორმაციას, მაგრამ დეტალურად არ იცის, რა ტიპის ჰიდროელექრტოსადგურებია, სად შენდება და როგორი ჰესები იქნება და რა სიმძლავრეეებისა, კაციშვილმა არ იცის. ერთადერთი, ის ვიცი, რომ სოფელ ალარისწყალთან მდებარე პატარა სოფელ მაჭახლისპირში, იქ, სადაც ადრე რუსი სამხედროები ცხოვრობდნენ, სამხედრო ბაზა იყო, გამალებით მიმდინარეობს კოტეჯების მშენებლობა. ათეული სახლი შემდება. რომ ვიკითხე, რა მშენებლობებია-მეთქი, მითხრეს, აქ თურქები იცხოვრებენო. ეს არის საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი, რომელიც მდინარე მაჭახელაზე და ჭოროხზე ჰესების მშენებლობით არიან ჩამოსულებიო. მდინარე მაჭახელა იყო ყველაზე თავისუფალი მდინარე და ერთი კვირის წინ იმის პრივატიზაციაც გამოაცხადეს, სადაც თურქები 50 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების აშენებას აპირებენ. მდინარე ჭოროხის (რომლის დიდი ნაწილი თურქეთის ტერიტორიაზეა) ბოლო 20-25 კილომეტრიან მონაკვეთზე (რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა და შავ ზღვაში ჩაედინება), თურქები აშენებენ 120 მეგავატი სიმძლავრის კასკადური ტიპის ჰიდროელექტროსადგურს, რაც იმას ნიშნავს, რომ იქნება უზარმაზარი წყალსაცავები და ეს წყალსაცავები დატბორავს უზარმაზარი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, საზღვრებს, ტყის კორომებსა და მდინარის ნაპირებს. რომ ვიანგარიშოთ, 250 ჰექტარი არის ორნახევარი კვადრატული კილომეტრი. ეს იმას ნიშნავს, ნახევარი ბათუმი, ანუ ძველი ბათუმი (დაახლოებით 5 კვადრატულ აჭარისწყლის ტერიტორიაზე. დაიფარება სოფლები კირნათი, მარადიდი, ერგე, იროთი, ხერთვისი, აჭარისწყალი, მახოს ნაწილი და იქნება უზარმაზარი ეკოლოგიური კატასტროფა. რა გავლენა ექნება ბუნებაზე, მე მგონი, კარგად გამოკვლეული და შესწავლილი არ არის. ეკონომიკური ეფექტი რომ არაფერი არ იქნება, საქართველოს სახელმწიფო ამით რომ ვერაფერს იგებს, ესეც დადასტურებულია, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ჩემთვის ის არის, რომ ამას აქვს უზარმაზარი პოლიტიკური დატვირთვა. არ შეიძლება მეზობელ სახელმწიფოს ყველაფერი ჩააბარო. ჩააბარო პორტები, აეროპორტები, ზღვის სანაპირო ტერიტორია და ახლა უკვე აჭარის შუა ნაწილი, მდინარეები ჩააბარო და ათეული წლების განმავლობაში მას განკარგვის უფლებით გადასცე უზარმაზარი პიტენციალის ჰიდრორესურსები, ეს საქართველოს სახელმწიფოსთვის დამღუპველი იქნება. ამიტომ ახლა დგას ერთადერთი ამოცანა – საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება, რომ იქნებ ეს პროექტი ჩავშალოთ.


მურმან დუმბაძე

ასეთი პროექტების ჩაშლის ყველაზე მთავარი მომენტი იქნება, უახლოეს არჩევნებში ამ ხელისუფლებას უარი ვუთხრათ. მოვიყვანოთ ეროვნული მთავრობა საქართველოში და ამ გიგანტურ ჰესებს უარი ვუთხრათ. მე არ ვამბობ, რომ პიდრორესურსები არ უნდა გამოვიყენოთ. საქართველოში 25-26 ათასი მდინარეა. მისი მხოლოდ 20%-ია ათვისებული (ეს ტექნიკურ-მათემატიკურად შესწავლილია). მდინარეები უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ მცირე ჰესების მშენებლობის სახით. გიგანტური ჰესები საქართველოს წარღვნას უქადის, განსაკუთრებით – აჭარას. კარგად მოგეხსენებათ, აჭარის ხეობაში მოსახლეობა ცხოვრობს ან მის მარჯვენა, ან მარცხენა მხარეს. იქ ნორვეგიელები 300 მეგავატი სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობას აპირებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ტენიანობა გაიზრდება, ბუნებრივი გარემო შეიცვლება, ბიომრავალფეროვნება შეიცვლება, უზარმაზარი ნეგატიური პროცესები მოჰყვება ამ უზარმაზარი ჰესების მშენებლობას, რის კატეგორიული წინაალმდეგიც ვარ მე.

***– მოკლედ, საშინელება დატრიალდება თუ ეს განხორციელდება.***

– კარგად მოგეხსენებათ, განსაკუთრებით, აჭარის მოსახლეობის დემოგრაფია როგორია. თუ ეს განახორციელეს, მიგრაციული პროცესები დაიწყება. აჭარა არის ულამაზესი ეთნოგრაფიული კუთხე. მე, მაგალითად, კვარიათს, მახინჯაურს, ურეხსა და გონიოს სოფელს არ ვეძახი – თან სოფელია და თან ქალაქი. თუ თქვენ 20-25 კილომეტრით სიღრმეში წახვალთ ზემო აჭარის მიმართულებით, შეგხვდებათ პირველი დასახლებული სოფლები. ე.ი. ქალაქიდან გადიხარ 10-15-20 კილომეტრზე და პირველი დასახლებული სოფელი გხვდება, შავი მამალი ყორეზე რომ ყივის. ეს არის ნამდვილი სოფელი. ჩვენ ამ სოფლებს დავკარგავთ, მიგრაციული პროცესები დაიწყება, ადამიანები იქაურობას დატოვებენ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მათ 8-10 ლარს გადაუხდიან. 8-10 ლარით ქალაქში ჩამოვლენ და იყიდიან ნახევაროთახიან ბინას, რაც არაფერში გამოადგებათ. მთელი ცხოვრება მშიერი იქნებიან. ადამიანები ამ მიწით იკვებებიან, ცხოვრობენ ასეული წლების განმავლობაში. არ მინდა ეს სოფლები დაიტბოროს, მიგრაციული პროცესები დაიწყოს, სოფლის მოსახლეობა აიყაროს მაღალმთიანი აჭარიდან და ქალაქის ტიპის დასახლებებში გადმოსახლდეს. ამიტომ კატეგორიული წინაალმდეგი ვარ გიგანტური ჰესების მშენებლობისა აჭარაში.

***– მდინარე აჭარისწყალზე, დანდალოში XI-XII საუკუნეების თაღოვან ხიდზე (თამარ მეფის ხიდს ეძახიან) ბავშობაში (სკოლაში რომ დავდიოდით) ყოველდღე გადავდიოდით და გადმოვდიოდით ხოლმე ფეხით და ვიცოდით (ეს წიგნებშიც არის აღწერილი), რომ თურქების მიერ დახოცილი ჩვენი წინაპრების სისხლი მდინარე აჭარისწყალს უერთდებოდა. მიუხედავად ამისა, გადავრჩით, ვერ დაგვიმონეს და ვერ გადაგვაგვარეს. ე.ი. რის გაკეთებაც ვერ შეძლეს თურქებმა იარაღით და ხიშტით, იმას ახლა ნაციონალები უსრულებენ მშიდობიანად?***

– რა თქმა უნდა. საერთოდ, ეს არის რუსული პროექტი. რუსეთმა ჯერ კიდევ 2004 წელს გამოაცხადა, რასაც ჩექმით ვერ მივაღწიეთ რუსებმა, ეკონომიკურად უნდა მივაღწიოთო და ყველაზე მძლავრი ეკონომიკური ბერკეტები ხელში ჩაიგდო – წყალი, გაზი, შუქი რუსების ხელშია. ახლა იგრძნობა თურქეთის მოწოლა, განსაკუთრებით აჭარაზე. მთელი ბათუმის პირველი სართულები თურქების ხელშია, რესტორნები, კაფეები, ბარები, სასადილოები და ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტები თურქების ხელშია. ახლა აჭარის მდინარეების გასხვისებაც უნდათ. ეს საქართველოს სახელმწიფოსათვის დამღუპველი აღმოჩნდება. გეთანხმებით, რომ ჩვენმა წინაპარმა სისხლით, შრომით, ოფლით მოიპოვა და ბრძოლით გადაარჩინა ეს ტერიტორია. ახლა კი უნდათ ქაღალდით დათმონ. ის საქართველოს კანონი „პრივატიზაციის შესახებ“ ირღვევა, პროგრამა ეკონომიკურად გაუთვლელია, ბუნების მრავალფეროვნება იშლება, სოციალური პრობლემები შეიქმნება, აჭარის სოფლები დაიცლება და მოსახლეობის მიგრაცია დაიწყება, აღარაფერს ვამბობ. ამაზე იხმაურებენ და ხმაურობენ მწვანე ალტერნატივა, მწვანეთა მოძრაობა, ჩხარტიშვილის მოძრაობა და სხვები. არის სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც ამას ყურადღებას აქცევენ, მაგრამ მე, როგორც პოლიტიკაში ჩახედულ ადამიანს, მგონია, რომ ამას სჭირდება პოლიტიკური უზრუნველყოფაც. მოქალაქეებთან, მოსახლეობასთან უნდა დავიწყოთ ინტენსიური მუშაობა. ახლა თბილისში ვიმყოფები. როგორც კი ჩავალ ბათუმში, ამ საქმეს უნდა მოვკიდო ხელი. თითოეულ ოჯახთან უნდა მივიდე და მივაწვდინო ხმა, რომ ეს პროექტი როგორმე ჩავშალოთ. ნორვეგიელები, რომლებიც აპირებენ მდინარე აჭარისწყლის ათვისებას (ექვსი წლის განმავლობაში 300 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური უნდა ააშენონ), ოთხი ჰესის მეშვეობით, ექვსი წლის განმავლობაში უნდა ჩადონ 600 მილიონი დოლარი. მე ვამბობ, რომ ქართულმა ეკონომიკამ უნდა დააფინანსოს მცირე ჰესების მშენებლობა. სტრატეგიული ობიექტების ცნება უნდა შემოვიტანოთ საქართველოს კონსტიტუციაში, კანონმდებლობაში. ჩვენმა მოსახლეობამ, ჩვენმა ქართველმა, ჩვენმა სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს ასეთი მნიშვნელოვანი გლობალური სახის ამოცანები და არავითარ შემთხვევაში სხვა სახელმწიფოებმა. პროექტში წერია, რომ ოთხი თვის განმავლობაში მოგვცემს ჰიდრორესურს, გამომუშავებულ ენერგიას, ოქტომბრიდან თებერვლის ჩათვლით. თანაც საბაზრო ფასებში. დანარჩენ ენერგიას ის გაიტანს სომხეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში, ირანსა და თურქეთში. ის მოიგებს ამ ჩვენი მდინარით. უზარმაზარი ფართობი რომ დაიფარება, ამაში ფულს არ გვიხდის, წყალში ფულს არ გვიხდის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები რომ დაიფარება, ამას არავინ არაფრად მიიჩნევს. ასე რომ, მე ძალიან შეფოთებული ვარ.

***– სამწუხაროდ, ის, რაც ახლა კეთდება აჭარაში, პოლიტიკის გარეშე არ კეთდება. ეს არის ნაციონალების პოლიტიკა, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკა, რომელიც დამღუპველია ქვეყნისთვის.***

– ცხადია, ეს არის სააკაშვილის პოლიტიკა, მაგრამ იმას, რასაც ვერ მოხერხებს ცენტრალური ხელისუფლება, ადგილობრივმა უნდა გადაწყვიტოს ასეა ევროპაში), თვითმმართველობის გადასაწყვეტი რაც არის. აჭარის მდინარის საკითხში უნდა ჩაერთოს ენერგეტიკის სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო, ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და ადგილობრივი მთავრობაც. ადგილობრივმა ხალხმა უფრო უკეთესად იცის იქაური პრობლემები და ისინი უნდა ჩაერთონ, პლუსები და მინუსები კარგად უნდა აწონდაწონონ,. ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება. ახლა რასაც უბრძანებს სააკაშვილი, იმას აკეთებს ლევან ვარშალომიძე. ამიტომ ერთადერთი გამოსავალია ეროვნული ადამიანების მოსვლა ხელისუფლებაში, ადგილებზე თვითმმართველობებში ეროვნული ხალხის მიყვანა, გონიერი, ჭკვიანი, წესიერი პოლიტიკურად მომზადებული ადამიანების მიყვანა ხელისუფლებაში და პრობლემები ადვილად გადაიჭრება საზოგადოებასთან, ხალხთან შეთანხმებით.

## ოპოზიცია კინკლაობის ნაცვლად, ხელისუფლებასთან რეალური ბრძოლით უნდა დაკავდეს“

„დემოკრატიული მოძრაობა“ უერთდება განცხადებებს იმის შესახებ, რომ ოპოზიციური სპექტრი ერთმანეთის ლანძღვისა და კინკლაობის ნაცვლად, ხელისუფლებასთან რეალური ბრძოლით უნდა დაკავდეს, ოღონდ – უკანა რიცხვით.

ასე ეხმიანება მოძრაობის პრეს-ცენტრი რიგი ოპოზიციონერებისა და ექსპერტების მიერ ბოლო დროს ნინო ბურჯანაძისა და „დემოკრატიული მოძრაობის“ მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს.

„ოპოზიციური სპექტრის რიგი წარმომადგენლებისა და რიგი ექსპერტების მხრიდან ბურჯანაძისა და „დემოკრატიული მოძრაობის“ უსაფუძვლო კრიტიკმ ყველა ზღვარს გადააჭარბა და ამ სამწლიან ისტერიას ქალბატონმა ნინომ ცოტა ხნის წინ მხოლოდ ერთი ინტერვიუთი გასცა პასუხი. ბურჯანაძის განცხადებით ხელისუფლებაში, ოპოზიციურ სპექტრში, ექსპერტებსა და მედიაში გამოწვეული ინტერესის გვესმის, რადგან ნინო ბურჯანაძის ერთი ინტერვიუ სხვა ოპოზიციონერი ლიდერების მრავალჯერად განცხადებებთან შედარებით, მეტ ინტერესს იწვევს. ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებს, რომ ოპოზიციური სპექტრი ერთმანეთის ლანძღვისა და კინკლაობის ნაცვლად, საქმით უნდა დაკავდეს, „დემოკრატიული მოძრაობაც“ უერთდება, ოღონდ – უკანა რიცხვით. საქმე იმაშია, რომ 2009 წელს, როდესაც „დემოკრატიული მოძრაობა“ დაფუძნდა, ერთ-ერთ პირველ ბრიფინგზე ეს პოზიცია სწორედ „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ და მისმა თავმჯდომარემ დააფიქსირა. ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის შიგნით კრიტიკა დღევანდელი ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. ამიტომაც იყო, რომ „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრები არასოდეს თანხმდებოდნენ ტელედებატებსაც კი ოპოზიციის წარმომადგენლებთან. მიუხედავად ამისა, მთელი ამ პერიოდის მანძილზე ოპოზიციის ცალკეული წარმომადგენლები ხელისუფლებასთან უნისონში ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ, უსაფუძვლო და პრაქტიკულად შეურაცხმყოფელი განცხადებები გაეკეთებინათ ნინო ბურჯანაძისა და „დემოკრატიული მოძრაობის“ მისამართით. აქვე ვსვამთ კითხვას: სად იყვნენ ეს ადამიანები – ოპოზიციის ცალკეული წარმომადგენლები, ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები მაშინ, როდესაც 2 წლის მანძილზე პრაქტიკულად ყველა ოპოზიციური პოლიტიკური ძალა „დემოკრატიულ მოძრაობასა“ და „სახალხო კრებას“ ხელისუფლებასთან უნისონში უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა და 21-26 მაისის აქციებთან დაკავშირებით მოსახლეობაში ნიჰილიზმს თესავდა?! რატომ არ უსვამენ ეს ადამიანები კითხვებს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც სწორედ ამ პერიოდში ხელისუფლებასთან ერთად სხვადასხვა ფორმატში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობდნენ და რატომ მივიღეთ ქვეყანაში რადიკალურად უფრო მძიმე საარჩევნო გარემო?“ – აცხადებენ მოძრაობაში.

„დემოკრატიული მოძრაობა“ კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ მისთვის „რეალური ოპოზიციის შიგნით ნებისნიერი სახის დაპირისპირება მიუღებელია, რადგან ეს მხოლოდ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს“, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ „პარტია მისი მისამართით გამოთქმულ უსაფუძვლო, დაუსაბუთებელ და ცილისმწამებლურ ბრალდებებს, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ისინი, უპასუხოდ აღარ დატოვებს“.

პირველი

# დღეს ბაქრაძეს ცარიელ ქვაბებს დაუბრახუნებენ

თეა მარხვაიძე

**საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ისევ უმუშევრობაა. მთავრობა ამ პრობლემის დასაძლევად არაფერს არ აკეთებს. მათ რომ ჰკითხო, ეს პრობლემა თითქმის დაამარცხეს, სამწუხაროდ, რეალობა სულ სხვანაირია.**



ამ პრობლემაზე ოპოზიციაც ბევრს ჩივის. პროტესტს არასამთავრობო სექტორიც გამოთქვამს. რასაც შედეგი ჯერ არ მოჰყოლია. ამ პრობლემის მოგვარებისკენ ხელისუფლებას „უმუშევართა კავშირმაც" მოუწოდა. ეს მოწოდება მათ პარლამენტში რამდენიმე ღვის წინ გააგზავნეს, საიდანაც პასუხი არ მიუღიათ.

არადა პასუხის მიღების მოთხოვნით უმუშევრებმა საკანონმდებლო ორგანოს წინ რამდენიმე აქცია გამართეს. ამ აქციებს საკმაოდ ორიგინალური სახე ჰქონდა.

არასამთავრობოებმა იქ პროტესტის ნიშნად თავიდან ცარიელი ქვაბები მიიტანეს. მერე ასი სანთელი აანთეს, მაგრამ რეაქცია იყო ნული.

დღეს ეს აქცია უფრო სხვა ტიპის იქნება და წინა აქციებისგან განსხვავებით ხნაურიანადაც ჩაივლის.

უმუშევართა კავშირის თავმჯდომარის თამარ იოვაშვილის განცხადებით

26 იანვარს, 12 საათზე საქართველოს პარლამენტის ზედა შესასვლელთან „უმუშევართა კავშირი დასაქმებისათვის" აწყობს „ცარიელი ქვაბების" აქცია-ბრიფინგს.

– ამ აქციას ერთი მოთხოვნით ვაწყობთ. ჩვენ ველოდებით პარლამენტის უმრავლესობის პასუხს უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტის დაწყებასთან დაკავშირებით, – განაცხადა თამარ იოვაშვილმა.

მისი თქმით, 2011 წლის 6 ოქტომბერს „უმუშევართა კავშირმა დასაქმებისათვის" პარლამენტში გააგზავნა წერილი, რომელიც ეხებოდა ჩვენი ქვეყნის, მოსახლეობის უმწვავეს პრობლემას უმუშევრობას და სადაც წარმოდგენილი იყო კავშირის ხედვები ამ სენის დაძლევის გზების მოსაძებნად.

უმუშევრები ნაცმოძისგან ამაოდ ელიან პასუხს. მათზე არც ქვაბების აქციამ იმოქმედა და არც სანთლების.

თამარ იოვაშვილის თქმით, ამჯერად აქცია ხმაურიანი იქნება. აქციის მონაწილეები პარლამენტის წინ ცარიელ ქვაბებსა და ტაფებს დააბრახუნებენ.

ეს ბრახუნი ძირითადად პარლამენტის თავმჯდომარეს ეძღვნება. მაგრამ მას ეს ხმა არ შეაწუხებს. ის სხვა ფლიგელში ზის. ქვაბების რახარუხმა შესაძლოა რამდენიმე დეპუტატს დაურღვიოს იდილია. დეპუტატები, მოგეხსენებათ, სესიების დროსაც იშვიათად დადიან პარლამენტში. ამდენად, ახლა მათ იქ ქუდიც რომ შეუგდო, არ მივლენ. თუ იმ მაღალმა არაფერი დაავალა.

ქვაბების აქცია რომ იგეგმება, ეს დეპუტატებმა უკვე იციან. ამ თემაზე სოციალურ ქსელებში დიდი განხილვები იყო მოწყობილი. ასე რომ, კანონმდებლები თორმეტი საათისთვის სამსახურში მისვლას მოერიდებიან.

უმუშევართა კავშირში იმედოვნებენ, რომ ადრე თუ გვიან ხელისუფლებას ამ თემაზე ყურადღებას მიაპყრობინებენ. ხელისუფლება ჯერ არაფერს იმჩნევს. არჩევნების მოახლოების ხათრით შესაძლოა ერთი-ორი სიტყვაც თქვან. მაგრამ ეს იქნება და ეს.

ამ ხელისუფლებისგან უმუშევრობის პრობლემის მოგვარება ფაქტიურად გამორიცხულია. ისინი ხომ მოქკავშირის შთამომავლები არიან. იმ მოქკავშირისა, რომელიც ხალხს 1999 წლის არჩევნების წინ მილიონ სამუშაო ადგილს დაჰპირდა.

ძალიან მალე მოქკავშირის ლიდერებმა (მათ შორის იმათაც, ვისაც ახლა ნაციონალებში თავი ყინჩად უჭირავს) გვამცნეს, რომ ამ დაპირებას ვერ შეასრულებდნენ.

უმუშევრობის პრობლემას გულგრილად მარტო ნაცმოძი არ უყურებს. ამ საკითხის გარშემო დიდად არც ოპოზიცია აქტიურობს. ხელისუფლებისა არ იყოს, უმუშევარი ხალხი მათაც არჩევნების წინ და ისიც რამდენიმე დღით ახსენდებათ. მერე კი ყველაფერი ძველებურად რჩება.

# ნიკა ლალიაშვილი: 26 მაისის დარბევა გამოსაძიებელია"

## ქდმ ჰუმან რაით ვოთჩის შეშფოთებას იზიარებს

თეა მარხვაიძე

**2 დღის წინ ჰუმან რაით ვოთჩმა მორიგი დასკვნა გამოაქვეყნა. ამ ორგანიზაციას საქართველოსთან დაკავშირებით ადრეც ბევრჯერ დაუდია დასკვნები. თუმცა ბოლო დასკვნა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და მწვავე იყო.**

**ეს დასკვნა ხელისუფლების წარმომადგენლებსაც მოხვდათ გულზე. დეპუტატ გია ცაგარეიშვილის მტკიცებით, ეს დასკვნაც ნათლად ადასტურებს იმას, რომ ნაციონალები წარსულს ჰბარდებიან.**

წარსულს ჩაბარებისა მათ არაფერი ეტყობათ. დასკვნაზე რეაგირების პირობას კი ნუგზარ წიკლაურის პირით დებენ.

ოპოზიციური პარტიების უმეტესებამ ჰუმან რაით ვოთჩის დასკვნა მოიწონა და იქ გამოთქმული შეშფოთებები გაიზიარა. მართალია ცოტა დააგვიანდათ, მაგრამ დასკვნასთან დაკავშირებით შეშფოთება ქრისტიან-დემოკრატებმაც გამოხატეს. მათი სახელით განცხადება ნიკა ლალიაშვილმა გააკეთა. ეს უკანასკნელი იანვრის პირველ ნახევარში პატარა შარში გაეხვაი. მასზე თქვეს, რომ ის ამბობდა, 26 მაისს აქცია უფრო სასტიკად უნდა დაერბიათო.

ამაზე ოდნავ მოგვიანებით, ახლა კი ლალიაშვილის გუშინდელ შეშფოთებას დავუბრუნდეთ. დეპუტატმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი პარტია აბსოლუტურად იზიარებს ჰუმან რაით ვოთჩის შეშფოთებას საქართველოში არსებული ვითარების გამო.

ის მარტო შეშფოთების გაზიარებით არ შემოიფარგლა. ლალიაშვილმა მთელი ქდმ-ს სახელით დასავლეთს მიმართა.

ნიკა ლალიაშვილმა დასავლელ პარტნიორებს მოუწოდა, ქვეყნის დემოკრატიულ ტრანსფორმაციას საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლით მიაღწიონ.

დეპუტატმა ორგანიზაციის დასკვნაში მცირე ხარვეზები შეამჩნია. რამაც ომბუდსმენი გაახსენა.

– საბოლოო ჯამში, დასკვნა არ არის ისეთი ამომწურავი, როგორიც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში იყო, თუმცა საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ყველაზე ამომწურავი დოკუმენტი საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშია, რომელსაც, როგორც ყოველთვის, პარლამენტი აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებს, – განაცხადა დეპუტატმა ლალიაშვილმა.

პრესკონფერენციაზე მან შარშანდელ 26 მაისზეც ისაუბრა. ამ თემაზე ჰუმან რაით ვოთჩის დასკვნაშიც არის საუბარი. ორგანიზაცია ამბობს, რომ 26 მაისს ხელისუფლებამ შეკრების უფლება დაარღვია.

– ჰუმან რაით ვოთჩის ანგარიშში 2011 წლის 26 მაისს აქციის დაშლის ფორმაა გაკრიტიკებული და აღნიშნულია, რომ ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებას თბილისში. სათანადო სამართლებრივი პროცედურების დაცვის გარეშე გასამართლებულია ათეულობით დემონსტრანტი და ხელისუფლებას არ ჩაუტარებია ეფექტური გამოძიება ამ მოვლენებთან დაკავშირებით და არც ძალის გადამეტების ადრინდელი ფაქტები შეუსწავლია, – აცხადებს შეშფოთებული დეპუტატი.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშის მიხედვით, შემაშფოთებელ ფაქტადაა მიჩნეული ის გარემოება, რომ ქვეყანაში ხორციელდება შეკრების თავისუფლებისა და მედიის უფლებების შეზღუდვა, ასევე ხაზგასმულია ადამიანის უფლებების დარღვევა იძულებით გადაადგილებულ პირთა შენობებიდან ძალის გამოყენებით გამოსახლების დროს.

– მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობა აშშ-სა და ევროკავშირთან აღარ განვითარდება მომავალში და არ გადაინაცვლებს ახალ საფეხურზე, რაც უნდა გამოიხატოს ქვეყნის გაწევრიანებით ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, თუკი თვისობრივად არ შეიცვლება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული საგანგაშო ვითარება" – განაცხადა ლალიაშვილმა.

დეპუტატმა იმედი გამოთქვა, რომ დასავლელი პარტნიორები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლით მიაღწიონ ქვეყნის დემოკრატიულ ტრანსფორმაციას.

ახლა კი იმის შესახებ, რაში სდებდა ბრალს ლალიაშვილს ზურაბ ჯიბლაშვილი. ეს უკანასკნელი პარლამენტის ვიცე-სპიკერის ლევან ვეფხვაძის აპარატის უფროსი იყო. ვინც არ იცით, შეგახსენებთ, რომ ვეფხვაძე ქდმ-ს ლიდერია. გიორგი თარგამაძის შემდეგ, რასაკვირველია.


ნიკა ლალიაშვილი

დაახლოებით ორი კვირის წინ ზურაბ ჯიბლაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. სადაც მან ნიკა ლალიაშვილი ექსტრემისტულ შეხედულებებში დაადანაშაულა და სამსახური დატოვა.

ზურაბ ჯიბლაშვილის თქმით, მისთვის მიუღებელი იყო პარტიის იდეოლოგია და განსაკუთრებით, ნიკა ლალიაშვილის პოზიცია 2011 წლის 26 მაისის აქციებთან დაკავშირებით.

– ნიკა ლალიაშვილი ამართლებდა მიტინგის დაშლას და „ფეისბუქზე" პირად მიმოწერაში აღნიშნავდა, რომ ხელისუფლება მომიტინგეებს უფრო მკაცრად უნდა გასწორებოდა, – აცხადებდა ჯიბლაშვილი.

მან ჟურნალისტებს ამ მიმოწერის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალაც აჩვენა.

ამ ხმაურიან ბრალდებებზე მაშინ ნიკა ლალიაშვილს, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრია, ჯიბლაშვილის ბრალდებაზე კომენტარი არ გაუკეთებია. ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, პარლამენტარი რატი მაისურაძე კი ნიკა ლალიაშვილის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს „პიროვნულ უთანხმოებას" უკავშირებს.

# სომხური პრესა ქართულზე თავისუფალია

თეა მარხვაიძე

ჩვენი ტკბილი ხელისუფლება თავისი დემოკრატიულობით ხშირად იწონებს ხოლმე თავს. ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოში თავისუფალი პრესაა. აქამდე ამაყობდნენ იმით, რომ პრესის თავისუფლების მხრივ სამხრეთ კავკასიაში პირველ ადგილზე ვიყავით.

აწი ხელისუფლება ამით ველარ იამაყებს. ამ კუთხით პირველი ადგილი სომხეთმა „აგვახია". რაც რა თქმა უნდა, ჩვენი ხელისუფლების დამსახურებაა.

ორგანიზაციამ ,,რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" 2011 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, საქართველოში პრესის თავისუფლების მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, დაეცა. კერძოდ, 2010 წელს საქართველოს პრესის თავისუფლების კუთხით 100 ადგილს იკავებდა, 2011 წელს კი 105 ადგილზე გადაინაცვლა.

ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" თავის ანგარიშში საქართველოს ჩამოქვეითების მიზეზად 2011 წელს მომხდარ სამ ფაქტს ასახელებს. ესენია: სექტემბერში სამხრეთ ოსეთში სერბი ჟურნალისტის, ვიქტორ ლაზიჩის დაკავება; 26 მაისის აქციის დარბევისას სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჟურნალისტებზე თავდასხმა და ივლისში ოთხი ფოტოგრაფის დაკავება, რის შემდეგაც სამი მათგანი ირაკლი გედენიძე, გიორგი აბდალაძე და ზურა ქურციკიძე ჯაშუშობის ბრალდებით გაასამართლეს.

– საქართველო სამხრეთ კავკასიაში პრესის თავისუფლების მხრივ აღარ იკავებს პირველ ადგილს. ჩამოქვეითების საფასურს ის ოპოზიციური მიტინგების სასტიკი დარბევისთვის და იმ განუწყვეტელი ზეწოლისთვის იხდის, რომელსაც ის იმ ჟურნალისტებსა და ბლოგერებზე ახორციელებს, ვინც რუსეთის მიმართ სიმპათიას გამოხატავს, – ნათქვამია ანგარიშში.

საქართველომ პრესის თავისუფლების მხრივ ლიდერის პოზიცია სამხრეთ კავკასიაში 77-ე ადგილზე მყოფ სომხეთს დაუთმო. აზერბაიჯანი კი, კვლავაც ჩამოქვეითდა და 162 ქულით თითქმის სიის ბოლოს მიუახლოვდა.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ „რუსეთის პრესის თავისუფლება სტაგნაციას განიცდის" და მას 142-ე ადგილი აქვს მინიჭებული.

ბელორუსმა, პრეზიდენტ ლუკაშენკოს არჩევის შემდეგ საპროტესტო აქციების დარბევის გამო 14 ადგილით ქვემოთ გადაინაცვლა და 168-ე ადგილზე იმყოფება.

„უკრაინაში 2010 წელს ჟურნალისტ ვასილი კლიმენტიევის გაუჩინარებით დაწყებული მედიაზე ძალადობის ტენდენცია გრძელდება" – აღნიშნულია ანგარიშში. ეს ქვეყანა ამჟამად პრესის თავისუფლების ინდექსით 116-ე ადგილზეა.

ანგარიშში აღნიშნუალია, რომ 2011 წელს 27 ადგილით, აშშ ჩამოქვეითდა დაიკავე უოლ სტრითის საპროტესტო აქციების დროს ჟურნალისტების დაკავების გამო ის ამჟამად 47 ადგილს იკავებს.

პრესის თავისუფლების ინდექსის პირველ ხუთეულში – ფინეთი, ნორვეგია, ესტონეთი, ნიდერლანდები და ავსტრია იმყოფებიან.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით 2011 წელს პრესის თავისუფლებას „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" ასე აფასებს:

– არასოდეს ისე არ ყოფილა ინფორმაციის თავისუფლება ასოცირებული დემოკრატიასთან, როგორც ეს 2011 წელს იყო. არასოდეს მიუყენებიათ ჟურნალისტებს ამხელა დარტყმა ინფორმაციის თავისუფლების მტრებისთვის, როგორც ეს გასულ წელს იყო. ამავდოულად, გასულ წელს დაფიქსირდა ჟურნალისტებზე ძალადობის და ცენზურის ყველაზე მეტი ფაქტი.

ოპოზიცია ორგანიზაციის დასკვნას ეთანხმება. მათი აზრით, ამ კუთხით აზერბაიჯანიც კი გვისწრებს.

ხელისუფლება ბუნებრივია ამ მოსაზრებას არ იზიარებს. ისიმი ამტკიცებენ, რომ თავსუფალი მედიის არსებობას მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

უმრავლესობის ონავარი წევრი ნუგზარ წიკლაური 2 დღის წინ იფიცებოდა, კერძო მედიაზე უარს არასდროს არ ვიტყვითო. რადგანაც ეს დემოკრატიულობაზე უარის თქმას ნიშნავსო.

ვერ გეტყვით როგორ ანათებს წიკლაურებში დემოკრატიის ლამფა, მაგრამ არასამთავრობოებმა თქვეს, საქართველოში დემოკრატიის შუქურა ჩაქვრაო.

სხვათა შორის ჯონდი ბაღათურია პარლამენტში საგანგებო კომისიის შექმნას ითხოვდა. ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით ამ კომისიას თავისუფალი მედიის დევნის ფაქტები უნდა შეესწავლა. სამწუხაროდ ამ იდეას მხარი ბევრმა არ დაუჭირა. და არც საპარლამენტო კომისია შეიქმნა. არადა წიკლაური ამტკიცებს თავისუფალი პრესის არსებობას ვერ შეველევითო.

# სააკაშვილს მესამე ვადით რესპონდენტთა 78.88% არ აირჩევდა"

მედიაკავშირ „ობიექტივის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, კონსტიტუციის შეცვლის შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილს მესამე ვადით რესპონდენტთა 78.88% არ აირჩევდა.

როგორც „პირველს" „ობიექტივიდან" აცნობეს, ქვეყნის მასშტაბით გამოკითხულთა 12.38% სააკაშვილის მესამე ვადით არჩევას მიესალმება, 7.6%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია, დანარჩენი 1.14% კი კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს იკავებს.

დედაქალაქში პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხული რესპოდენტების 11% სააკაშვილს მესამე ვადით აირჩევდა, 82.53% არ აირჩევდა, 5.58%-მა ჯერ არ იცის, 0.89%-მა კი კითხვას არ უპასუხა.

გამოკითხვა მედია-კავშირმა „ობიექტივმა" 2011 წლის 13 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე პერიოდში თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ზუგდიდში, ბათუმსა და მთლიანად აჭარაში, ადიგენში, ასპინძაში, ახალქალაქში, ახალციხეში, ახმეტაში, ბოლნისში, ბორჯომში, გალში, გარდაბანში, გორში, თეთრიწყაროში, თელავში, მარნეულში, სენაკში, საჩხერეში, ყვარელში, ხაშურში ჩაატარა.

სულ 3 263 ადამიანი გამოიკითხა. მათგან 49% მამაკაცია, 51% – მანდილოსანი. გამოკითხულთა 36% 18-30 წლამდე ასაკისაა, 47% – 30-60 წლამდე, 17% კი 60 წელს არის გადაცილებული. გამოკითხულთა 21% მუშაობს, 37% უმუშევარია, დანარჩენებმა კი ეს არ გაამხილეს.

**პირველი**

# საარჩევნო კოალიციების ძირითადი კონტურები აპრილ-მაისში გამოიკვეთება"

„თავისუფალი საქართველოს" ლიდერის კახა კუკავას აზრით, „საარჩევნო კოალიციების ძირითადი კონტურები აპრილ-მაისში გამოიკვეთება".

როგორც კუკავამ გუშინ გაზეთ „პრაიმ თაიმის" პრეს-კლუბში სტუმრობისას განაცხადა, მისი შეფასებით, საპარლამენტო არჩევნები ორპოლუსიანი არ იქნება და არჩევნებზე 30% სხვა პოლიტიკურ ძალებზეც გადანაწილდება.

„არჩევნებში ფინანსური ფაქტორი რეალურად მნიშვნელოვანია, თუმცა სხვა ფაქტორებიც არანაკლებ გასათვალისწინებელია, მაგალითად, იდეოლოგიური. ვფიქრობ, რომ ჩვენს საზოგადოებაში სერიოზული სეგმენტია ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ხელისუფლება ხან – ქუჩის, ხან მარგინალურ და ხან ბაზრის ოპოზიციას გვიწოდებდა. ჩვენ ბოლო 5 წლის განმავლობაში კონსულტაციები გვაქვს, რომლებიც ხან უფრო მჭიდროა, ხან – ნაკლებად, თუმცა საბოლოოდ ეს გარკვეული პოლიტიკური ერთობის ფორმას მიიღებს. მე მზად არ ვარ, დღეს ამ კოალიციის ფორმაზე, სტრუქტურაზე გელაპარაკოთ, ამისი დრო მოვა, უბრალოდ არჩევნებამდე 9-10 თვით ადრე ამაზე საუბარი ნაადრევია", – განაცხადა კუკავამ.

**პირველი**

# როგორ და რატომ იმართლებს თავს დავით ბაქრაძე

## არასამთავრობოები ხელისუფლების ჩინოსნებს 25-წლიანი პატიმრობით ემუქრებიან

შალვა ჯოხაძე

„ჰიუმან რაითს უოჩის“ ბოლო დასკვნაში, საქართველოსთან მიმართებაში, იმდენად მწვავე მოსაზრებებია გამოთქმული, რომ ამ დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ სახელისუფლებო უმრავლესობა თავის მართლებაზე გადავიდა. ხელისუფლების წარმომადგენლები მედიისათვის კომენტარების მისაცემად, მართლაც რომ, ერთიანად დაირაზმნენ. ამ თემაზე კომენტარი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემაც კი გააკეთა. ბაქრაძის სიტყვებიც სხვა არაფერია, თუ არა თავის მართლება.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ამოცანაა, რომ სხვადასხვა ქვეყნებს ადამიანის უფლებათა სფეროს პრობლემატიკაზე მიუთითოს. ამ მხრივ იდეალური ვითარება არც ერთ ქვეყანაში არ არის და ორგანიზაციის ანგარიშებში ისეთი ქვეყნებიც ხვდება, როგორიც საფრანგეთი და აშშ-ა. ბაქრაძის განცხადებით, საქართველოსთან მიმართებაში, ორგანიზაცია ყოველწლიურად სისტემურ გაუმჯობესებაზე საუბრობს, თუმცა კვლავ არის პრობლემები, რომელიც სხვა ქვეყნებშიც არსებობს, ამ მხრივ უნაკლო არც ერთი სახელმწიფო არ არის.

მოკლედ, დავით ბაქრაძე კვლავ აშშ-სა და საფრანგეთს ედრება, თუმცა ისე ნამდვილად არ არის საქმე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე მოგვახსენებს. დასკვნაში შავით თეთრზე წერია, რომ საქართველოს ხელისუფლება სხვადასხვა პრობლემატური სფეროს განსავითარებლად მრავალმილიონიან დახმარებას იღებს და სამაგიეროდ, აღებულ ვალდებულებებს არ ასრულებს. „ჰიუმან რაითს უოჩის“ დასკვნით, 2011 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არაერთგვაროვანი მდგომარეობა იყო.

– მაისში ხელისუფლებამ გადამეტებული ძალის გამოყენებით დაშალა ანტისამთავრობო გამოსვლები თბილისში და სათანადო სამართლებრივი პროცედურების დაცვის გარეშე ადმინისტრაციული წესით გაასამართლა ათეულობით დემონსტრანტი. ხელისუფლებას ამ მოვლენებთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიება არ ჩაუტარებია და არც ძალის გადამეტების ადრინდელი შემთხვევები შეუსწავლია. შეშფოთების მიზეზს იძლევა ასევე შეკრების თავისუფლებისა და მედიის უფლებების შეზღუდვის შემთხვევები და სახელმწიფოს კუთვნილი შენობებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოსახლება ძალის გამოყენებით. ანგარიშის თანახმად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა საქართველოსთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები გააღრმავეს, მაგრამ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი წარმატებების მისაღწევად თავიანთი გავლენის ბერკეტები ვერ გამოიყენეს, – საუბარია დასკვნაში და ბაქრაძემ რამდენიც უნდა გვიმტკიცოს, ფაქტებით ვერ დაგვიდასტურებს, რომ ანგარიშში აშშ-სა საფრანგეთზეც ასეთ მწვავე შეფასებებს ვხვდებით.



დავით ბაქრაძე

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსებთან ერთად, „ჰიუმან რაითს უოჩის“ დასკვნას კვლავ ეხმაურებიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გუშინ ორგანიზაციებმა: სოლიდარობა უკანონო პატიმრებს, პატიმართა დახმარების საქველმოქმედო ფონდმა, მოძრაობა „არამ“, თავისუფალმა სახლმა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის ასოციაციამ ერთობლივი განცხადება გააკეთეს. „ჰიუმან რაითს უოჩის“ დასკვნის გარდა, ეს ორგანიზაციები ბოლო პერიოდში მომხდარ სხვა მწვავე პრობლემებსაც ეხებიან.

– ძველით ახალ წელს, 13 იანვრის ღამეს, საჩხერის რაიონის ცენტრალურ მოედანზე, რეგიონის გუბერნატორის მიერ ორგანიზებულ კონცერტზე, არაიდენტიფიცირებულმა ე.წ. სამართალდამცავებმა 15-მდე ახალგაზრდა გაიტაცეს, იარაღის მუქარით სხეულის მრავლობითი მძიმე დაზიანება მიაყენეს. (ამ ფაქტს შეესწრო უამრავი თვითმხილველი, მათ შორის – პოლიციისა და პატრულის თანამშრომლები). ამ ქმედებით მათ გადაამეტეს უფლებამოსილებას და ბოროტად გამოიყენეს თანამდებობა, უგულებელყვეს კანონი, შელახეს ადამიანის ძირეული უფლებები და თავისუფლებები.

რიგი სამართალდამცველი პირები 2003 წლიდან მოყოლებული დღემდე სჩადიან დანაშაულს და არღვევენ კანონს, რაც სამართლიანად იწვევს საზოგადოების აღშფოთებას და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობის ზრდას. აღნიშნულის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰიუმან რაითს უოჩის“ მიერ გამოქვეყნებული ანგარიში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ, რომელიც ის შეფასებულია, როგორც მძიმე და არადემოკრატიული. ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები ჯიუტად ცდილობენ საბჭოური ტიპის მედიაპროპაგანდით დაარწმუნონ ქართული საზოგადოება, რომ საქართველო დემოკრატიის კუთხით ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა.

13 იანვარს, ძველით ახალი წლის ღამეს ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაული, შესაძლებელია, კვალიფიცირდეს როგორც: სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვა, ულებამოსილების გადამეტება – ბოროტად გამოყენება, რაც დღევანდელი კანონმდებლობით, 15–დან 25-წლამდე პატიმრობით ისჯება.

სამართალდამცავი ორგანოებისგან, ვანო მერაბიშვილისა და გენერალური პროკურორისგან მოვითხოვთ, ჩატარდეს გამოძიება და დაისაჯონ დამნაშავეები, მით უმეტეს, დემოკრატიულობის პრეტენზიის მქონე სახელმწიფოში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მივმართავთ გენერალურ პროკურატურას და შსს-ს, დაუყოვნებლივ გამოიძიონ ამ დანაშაულში მონაწილე ე.წ. სამართალდამცავების ვინაობა, ბრალეულობა და კანონის ფარგლებში შეეფარდოთ შესაბამისი სასჯელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იკვეთება ხელისუფლების უმაღლეს პირთა ბრალეულობა, რაც დაუსჯელი ვერ დარჩება და ძალიან მალე ყველა აგებს კანონის წინაშე პასუხს, – აცხადებენ არასამთავროbო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

# ბიძინა გუჯაბიძე: ჩვენ არ გვინდა პოლიტიკაში ისეთი ქალები, როგორებიც ჰყავს ნაციონალურ მოძრაობას“

## სააკაშვილის ყველა ქმედება შიშს ეფუძნება

გულიკო ბალაძე

**გუშინ ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის ინიციატივით სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ 11 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა – საქართველოს დემოკრატიული პარტიის, ახალი მემარჯვენეების, ნაციონალების, რესპუბლიკური პარტიის. ედპ-ს, კონსერვატორების, თავისუფალი დემოკრატების, ქართული დასის, ქრისტიან-დემოკრატების და სხვათა მონაწილეობით განიხილებოდა ხელისუფლების შეთავაზება ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდის თაობაზე.**

შეხვედრაზე დახურულ რეჟიმში იმსჯელეს საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ წარმოდგენილ ახალ მუხლზე. „საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს დაფინანსებაზე დანამატს 10%-ის ოდენობით, თუ მის მიერ წარმოდგენილ პარტიულ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში.) ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 20%-ით.

ეს იყო სამუშაო შეხვედრა, რომელიც ერთობლივად მოაწყეს ენდიაი-მ და პარლამენტის ვიცე-სპიკერმა რუსუდან კერვალიშვილმა, რომელიც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეცაა.

სამუშაო შეხვედრაზე მოწვეული იყო იმ 11 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, რომლებმაც 2010 წლის აპრილში ენდიაი-ს მხარდაჭერით გამართულ კონფერენციაზე ხელი მოაწერეს „გავიმარჯვებთ ქალებთან ერთად“ გლობალურ სამოქმედო გეგმას. ამ ხელმოწერით პარტიებმა გამოთქვეს მზადყოფნა, საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდას შეუწყონ ხელი.

სამუშაო შეხვედრაზე პარტიებმა იმსჯელეს იმაზე, თუ რა დადებითი შედეგი შეიძლება მოუტანოს მათ ახალმა საკანონმდებლო ცვლილებამ.

დღეისთვის პარლამენტის 150 წევრიდან მხოლოდ 9 არის ქალი.

შეხვედრის დაწყებამდე კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს ბიძინა გუჯაბიძეს კომენტარი ვთხოვეთ.

– ხელისუფლება საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული ბალანსი იქნას დაცული და მოხდეს მანდილოსნების პოლიტიკაში ჩართვა. ჩვენ მივესალმებით ამ ინიციატივას, თუმცა, ჯერ პროექტს არ გავცნობივართ. ვნახოთ, რა იქნება. როგორც პრესიდან ვიცი, ხელისუფლებას განზრახული აქვს დაფინანსების გაზრდა იმ პარტიებისთვის, რომლებიც პოლიტიკაში ქალბატონებს ჩართავენ. ეს არის ცალმხრივი მიდგომა. არ შეიძლება ფულის გულისთვის ნაბიჯი გადადგა, თუნდაც უკეთესობისკენ, – განაცხადა ბიძინა გუჯაბიძემ.

***– ბატონო ბიძინა, ე.ი. ქალების ჩართვა პოლიტიკაში და გენდერული ბალანსის დაცვა მერკანტილური მიზნებისთვის არ უნდა იქნას გამოყენებული?***

– დიახ. ქართველი მანდილოსნის ჩართვას პოლიტიკაში არ უნდა სჭირდებოდეს ფინანსური წახალისება, მაგრამ ჩვენ ამ საკითხს სხვანაირად ვუყურებთ. ჩვენ არ გვინდა პოლიტიკაში ისეთი ქალბატონების ჩართვა ოპოზიციიდან, როგორი ქალბატონებიც ამჟამად ხელისუფლებაში არიან. მხედველობაში არ მყავს ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი. თუმცა, ამასაც შეიძლება გადახედოს ადამიანმა. იცით თქვენ, ვერა ქობალია, ხათუნა კალმახელიძე და სხვები. ჩვენ ხელისუფლებას ამ მიმართულებით ვერ მივბაძავთ. უბრალოდ, ჩვენ ქალბატონებს პოლიტიკურ ასპარეზზე სამოღვაწეოდ, პირველ რიგში, პროფესიონალიზმის ნიშნით შევარჩევთ. ასევე იმ ნიშნით შევარჩევთ, რამდენად უნარიანი და მომზადებულია პოლიტიკურ ასპარეზზე სამოღვაწეოდ. ამას თან უნდა ერთვოდეს კარგი რეპუტაცია. თუმცა, ეს მოწოდება ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტიდან მოდის. ამას თავიდანვე მივესალმებოდით. ჩვენ პოლიტიკაში ჩართული გვყავს ქალბატონები სხვადასხვა დონეებზე. პირველი პირები თუ არ არიან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარტიულ სტრუქტურებში ქალები არ გვყავს.



ბიძინა გუჯაბიძე

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ხელისუფლება მომავალ არჩევნებსაც გააყალბებს

## ექსპერტი კოლუმბიის უნივერსიტეტიდან ივანიშვილს სააკაშვილის მთავარ კონკურენტად აფასებს

შალვა ჯოხაძე

**უცხოურ მედიაში სულ უფრო მეტს მსჯელობენ იმის შესახებ, არის თუ არა საქართველოში დემოკრატია. გამოცემა „ევრაზიარევიუ“ ამ საკითხთან დაკავშირებით კოლუმბიის უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ლინკოლნ მიტჩელს გაესაუბრა, რომელიც საქართველოსთან მიმართებაში საკმაოდ საინტერესო მოსაზრებებით გამოირჩევა. ინტერვიუს ქართულად „ფორინპრეს.გე“ავრცელებს.**



ლინკოლნ მიტჩელი

უცხოური გამოცემა ამერიკული უფლებადამცველი ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული დასკვნის შესახებ საუბრობს. ამ დასკვნაში შეფასებულია თავისუფლების ხარისხი მთელ მსოფლიოში 2012 წლისათვის. საქართველოს რეიტინგი 2011 წლის შემდეგ არ შეცვლილა – პოლიტიკური თავისუფლებანი 4 ბალითაა შეფასებული, ხოლო სამოქალაქო უფლებანი – 3-ით. საქართველოს „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყნის სტატუსი აქვს. შეფასებათა შკალა 1-დან 7-მდეა, 1-ით აღნიშნება ყველაზე მაღალი ხარისხის თავისუფლება. გამოცემა აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რეგიონული ლიდერია და ყველაზე ქმედითი კავკასიური ქვეყანაა, თბილისის მაჩვენებლები ბოლო ათი წლის განმავლობაში ძირითადად სტაგნაციის მდგომარეობაში რჩებაო. თურმე, ერთხელ „ფრიდომ ჰაუსმა“ მას ელექტორალური დემოკრატიის წოდება მიანიჭა, მაგრამ 2009 წელს, 2008 წლის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებისა და რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მან ეს სტატუსი დაკარგა.

კოლუმბიის უნივერსიტეტის თანამშრომელ ლინკოლნ მიტჩელს, პოსტსაბჭოთა გარდამავლობის ექსპერტსა და საქართველოში ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტის ყოფილ ხელმძღვანელს ჟურნალისტი იმის შესახებ ელაპარაკა, თუ რაზე მიანიშნებს ეს მაჩვენებლები საქართველოში არსებულ დემოკრატიასთან დაკავშირებით დღეს და ზოგადად.

**ლინკოლნ მიტჩელი:**

– „ფრიდომ ჰაუსი“ ცდილობს, უფრო თავისუფლებისა და დემოკრატიის ხარისხი გაზომოს და არა – მართვის. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი საქართველოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელი ისაა, რომ იმ დროს, როდესაც მათ გააუმჯობესეს მართვა, შეამცირეს წვრილმანი კორუფცია, ბიუროკრატია და სხვა ამგვარი მოვლენები, მათ ძალიან ცოტა რამ გააკეთეს ხელშესახები დემოკრატიული რეფორმების ჩასატარებლად.

საქართველოს მთავრობის მიერ გაკეთებული კარგი საქმეები შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს, მაგრამ შეცდომაა იმის დაშვება, რომ ამ კარგმა საქმეებმა საქართველო უფრო თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყნად აქცია. მედიის თავისუფლების მუდმივი პრობლემა, სახელმწიფო ძალაუფლებისა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება, აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირება, ოპოზიციის დევნა და სხვა ამგვარ პრობლემებთან დაკავშირებული ვითარება ამ ბოლო წლებში არ შეცვლილა. მე ვეთანხმები „ფრიდომ ჰაუსის“ შეფასებას – საქართველო არც დემოკრატიული ქვეყანაა და არც ავტორიტარული რეჟიმი, ის სადღაც შუაშია. ამიტომაც დაიმსახურა მან „ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნის“ რეიტინგი.

უცხოური გამოცემა დაინტერესდა ისეთი საკითხის შეფასებით, როგორიც ქვეყანაში დაგეგმილი არჩევნებია. ამ წლის ბოლოს ხომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია, ხოლო მომავალ წელს – საპრეზიდენტო. საინტერესოა, რამდენად რეალისტურია იმის მოლოდინი, რომ ეს მაჩვენებლები ცოტა ხანში გამოსწორდება.

**ლინკოლნ მიტჩელი:**

– მოკლევადიან პერსპექტივაში ამ მაჩვენებლების გამოსწორების შესაძლებლობას მე ოპტიმისტურად არ ვუყურებ. საქართველოს მთავრობისთვის ისიც საკმარისია, თუ ეუთოს, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის“ და სხვა საერთაშორისო დამკვირვებლების ძუნწ დასტურს მიიღებენ, თუმცა არჩევნები ისევ საკმარისად უსამართლო რჩება, რათა მმართველი პარტიის გამარჯვება უზრუნველყოს. ვფიქრობ, რომ 2012 წლის არჩევნებზეც იგივე მოხდება. ივანიშვილის გამოჩენას პოლიტიკურ სცენაზე იმის პოტენციალი აქვს, რომ ვითარება შეცვალოს, რადგან ის უძლიერესი ოპოზიციური ფიგურაა მათ შორის, ვისთან დაპირისპირებაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მთავრობას მოუხდა. ის არის ერთადერთი ფიგურა, ვისაც მთავრობასთან კონკურენციის გაწევის რესურსი აქვს.

ვფიქრობ, რომ არასაარჩევნო წელი უფრო წინ წასწევდა საქართველოს „ფრიდომ ჰაუსის“ რეიტინგში, რადგან მთავრობას, შესაძლოა, უფრო მოენდომებინა ლიბერალიზაცია, როდესაც ამდენი რამ არ იდებოდა სასწორზე.

ლინკოლნ მიტჩელი იმის შესახებაც საუბრობს, თუ როგორია ის ნაბიჯები, რომელიც საქართველოს მთავრობამ უნდა გადადგას, რათა დემოკრატიის მშენებლობა სწორ გზაზე დადგეს.

– საქართველოს მთავრობა დემოკრატიას სერიოზულად უნდა მოეკიდოს და გააცნობიეროს – იმისთვის, რომ საქართველომ საგარეო პოლიტიკურ მიზნებს მიაღწიოს, მეტი დემოკრატიაა აუცილებელი, თუმცა საკმარისი არ არის. თუ ეს არჩევნები და ასევე წინსაარჩევნო პერიოდი, რომელიც უკვე დაიწყო, უფრო დემოკრატიულ კონტექსტში წარიმართება, ეს იქნებოდა სწორი მიმართულებით გადადგმული დიდი ნაბიჯი, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ ამის ნიშნებს ვერ ვამჩნევთ, – აცხადებს უცხოელი ექსპერტი.

# ბიძინა გუჯაბიძე: ჩვენ არ გვინდა პოლიტიკაში ისეთი ქალები, როგორებიც ჰყავს ნაციონალურ მოძრაობას“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

***– ეს პროექტი მაინცდამაინც პირველ პოზიციებზე ქალების წარმოდგენას გულისხმობს?***

– როგორც ჩანს, ამასაც გულისხმობს. ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის მოწოდებას, რა თქმა უნდა, მივესალმებით, პოლიტიკურ ასპარეზზე ქალბატონების გამოყვანას. პოლიტიკურ პროცესებშიც უნდა იყვნენ ქალბატონები ჩართული, პარტიულ სტრუქტურებშიც და საარჩევნო სტრუქტურებშიც. ჩვენ პარტიულ სტრუქტურებშიც გვყავს ქალბატონები და საარჩევნო სტრუქტურებშიც. პარტიულ სტრუქტურებში ჩვენთან თითქმის უმრავლესობა ქალბატონები არიან. ოღონდ, მეორე-მესამე დონეზე. ამავე დროს საარჩევნო სტრუქტურებიც თითქმის მთლიანად ქალბატონებითაა დაკომპლექტებული. იშვიათი გამონაკლისია, რომ მამაკაცი იყოს. ვგულისხმობ საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეს.

***– ქალები უფრო აქტიურები არიან?***

– აქტიურებიც არიან, სანდოებიც და მათი პოტენციალიც შეესაბამება ამ სამოღვაწეო ასპარეზს. ამ მხრივ მისათითებელი არაფერი გვაქვს. უბრალოდ, გავითვალისწინებთ ამ მიმართულებით კიდევ რა დადებითი ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას. ასე რომ, ეს თემა განსახილველია.

ბატონ ბიძინა გუჯაბიძეს სხვა თემებზეც ვესაუბრეთ. კერძოდ, თუ ხელისუფლება ქალების პოლიტიკაში ჩართვის შემთხვევაში პარტიებს დაფინანსების გაზრდას ჰპირდება, სხვა შემთხვევაში, მისი ფინანსური შეზღუდვისთვის ათასგვარ ხერხს იგონებს. პარტიების შესაზღუდად ხელისუფლება კონტროლის პალატის კონკრეტული სამსახურის უფროსს ისეთ უფლებებს გადასცემს, რაც აქამდე სასამართლოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა. ბიძინა გუჯაბიძე ამბობს, რომ ეს შიშის გამო ხდება. სააკაშვილს პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ეშინია.

***– ბატონო ბიძინა, ხელისუფლება მუდმივად ცდილობდა ოპოზიციის მარგინალიზაციას, ოპოზიციისთვის დაბრკოლებების შექმნას. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ. ბოლო პერიოდში გახმაურდა კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება, რომლის თანახმადაც კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის უფროსს უფლებას აძლევს ერთპიროვნულად გადაწყვიტოს პოლიტიკური პარტიისა და მასთან დაკავშირებული პირების ქონებისა და ფინანსური ანგარიშების დაყადაღების საკითხი. როგორ აფასებთ ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას?***

– ეს არის ქვეყნის უმაღლესი პირის მიერ მიცემული დირექტივა სხვადასხვა სექტორებისადმი, რომ მათ გაამკაცრონ კანონებით, კანონქვემდებარე აქტებითა და სხვა საშუალებებით გააძლერონ ზეწოლა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებზე.

***– როგორ შეიძლება პარტიის პოლიტიკური ცხოვრება ნორმალურად წარიმართოს, თუკი მასთან დაკავშირებული პირების ქონებას დაემუქრება საფრთხე?***

– საერთოდ, უმაღლესი პირის დირექტივა მოქმედებს და საკანონმდებლო თვითნებობასთან გვაქვს საქმე. გარკვეულ სტრუქტურებში სხედან ადამიანები, გამოსცემენ კანონქვემდებარე აქტებს და, ფაქტობრივად, კანონგარეშე აყენებენ თავიანთ საქმიანობას. არც ერთი ევროკონვენცია, საერთაშორისო სამართლის არც ერთი ნორმა არ გულსხმობს, რომ რაც შეიძლება მკაცრი იყოს და შეზღუდოს პოლიტიკური პარტიების ფინანსური თუ პოლიტიკური საქმიანობა. ამ შემთხვევაში პოლიტიკურ თვითნებობასაც აქვს ადგილი და საკანონმდებლო თვითნებობასაც. რადგან დირექტივა მიიღეს, პატარა ქალები და კაცები ამოქმედდნენ. მოწინავე პოზიციებზე დადგნენ და ხელისუფლებისაგან, მიშა სააკაშვილისაგან შენიშვნა რომ არ მიიღონ, ისეთ რაღაცეებსაც აკეთებენ, არანაირ ფარგლებში არ ჯდება. საკანონმდებლო თვითნებობა ჩაიდინეს საკანონმდებლო დონეზე. კანონი მათ მიიღეს ისეთი, რომელიც შემდეგ ქვემდებარე აქტების მიღების შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ ეს სცილდება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ყველანაირად ზღუდავს პოლიტიკურ ასპარეზზე პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობას. თუმცა, ჩვენ კანონმორჩილი ხალხი ვართ. რა კანონიც არსებობს, იმის ფარგლებშიც ვიმუშავებთ, მაგრამ ვეცდებით სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან, ქვეყნის დიპლომატიურ სამსახურებთან, ზოგადად დასავლეთის ქვეყნებთან, აშშ-სთან დავაყენოთ საკითხი, რომ კანონშემოქმედებასა და კანონიერებას ამოფარებულთა მხრიდან უსამართლო და არაკანონიერი შეზღუდვების მოხსნას მივაღწიოთ.

***– ხომ არ იცით, სხვა ქვეყნების გამოცდილება როგორია?***

– ისე არსად არ არის შეზღუდული პარტიები, როგორც საქართველოშია. სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობას გაცნობილი ვარ, ევროპის ქვეყანაში მსგავსი შეზღუდვები არ არის. იქ კანონებს პიროვნებებს არ არგებენ. ეს, ერთის მხრივ, ეხება მიშა სააკაშვილს, რომელმაც ყველა კანონი თავის თავზე მოირგო, მეორე მხრივ, ეხება ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას. ცდილობენ შეზღუდონ მისი და მასთან ასოცირებული პარტიების საქმიანობა. ეს არის შიშზე დაფუძნებული ქმედება. ხელისუფლებას პოლიტიკური მოწინააღმდეგეების შიში აქვს. მიშა სააკაშვილის ყველა ქმედება პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ აღძრულ შიშს ეფუძნება. ის ახლა დარბის და სხვადასხვა პიარაქციებს ატარებს საქართველოს მოსახლეობასა და უცხოეთსაც ატყუებს, თითქოს ყველაფერი კარგადაა. მეორე მხრივ, საკანონმდებლო ორგანოებსა და ქვემდგომ რგოლებს დირექტივებს აძლევს, რომ ყველამ ერთად შეზღუდოს ივანიშვილის საქმიანობა.

***– ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის შეზღუდვის საკითხში წარმატებას მიაღწევს?***

– ქმედება იწვევს უკუქმედებას. ამიტომ სააკაშვილისა და მისი ჯგუფის მხრიდან განხორციელებულ უკანონო ქმედებებს ივანიშვილისა და მასთან დაკავშირებული ძალების მხრიდანაც უკუქმედება და საერთაშორისო ზეწოლა მოჰყვება, ჩვენი მხრიდან დიპლომატიური კორპუსისა და, საერთოდ, საერთაშორისო სტრუქტურების ინფორმირების შედეგად. უახლოეს მომავალში ევროსტრუქტურებიდან და აშშ-დან ჩამოვლენ არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიები. სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა რაოდენობის მისიები ჩამოვლენ. გამორიცხულია ხელისუფლებამ საწადელს მიაღწიოს და შეზღუდოს ვინმეს პოლიტიკური აქტიურობა. თუმცა, ასეთი ქმედებები შეიძლება გაგრძელდეს რაღაც ეტაპამდე. შემდეგ უკვე ყველა მისი ქმედება ძალიან სკურპულოზური დაკვირვების ქვეშ იქნება არა მარტო ჩვენი მხრიდან, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების მხრიდანაც. რაც არ უნდა იმოქმედოს ხელისუფლებამ, საპასუხოდ დარტყმას მიიღებს ყველა დონეზე – საკონსტიტუციო დონეზეც და უცხოეთიდანაც.

# ქართველების ევროპელობა გრიგოლ ვაშაძემაც დაადასტურა

ნათია ხურცილავა

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გუშინ ქართველმა მინისტრმა თავისი გამოსვლა ზურაბ ჟვანიას სიტყვების გახსენებით დაიწყო.**


გრიგოლ ვაშაძე

– ჩვენ ვართ ქართველები და მაშასადამე, ჩვენ ვართ ევროპელები,– განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

ამ სიტყვებს თავის დროზე ისტორიული სიტყვები ეწოდა.

ეს სიტყვები ზურაბ ჟვანიამ მაშინ თქვა, როდესაც საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახლად არჩეულ პრეზიდენტს, ჟან-კლოდ მინიონს თანამდებობაზე არჩევა მიულოცა.

ვაშაძის სიტყვით გამოსვლამდე ასამბლეის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა მიმართა დეპუტატებს. მან აღნიშნა, რომ ევროსაბჭო მხარს უჭერს რეფორმებს საქართველოში. მისი შეფასებით, ძალიან მნიშვნელოვანია პოლიციის სფეროში განხორციელებული რეფორმები.

– მნიშვნელოვანი წლებია წინ, ორი არჩევნები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის, – განაცხადა მინიონმა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე ევროპული უსაფრთხოებისთვის საქართველოს მნიშვნელობაზე, საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და ევროსაბჭოს რეფორმირების აუცილებლობაზე ისაუბრა.

გრიგოლ ვაშაძემ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ შეძლო საქართველომ საბჭოთა მენტალიტეტისაგან განთავისუფლება. ასევე ისაუბრა იმ რეფორმებზე, რომელიც გატარდა.

ვაშაძემ თავის გამოსვლაში 2012 წელს ჩასატარებელ არჩევნებზეც გაამახვილა ყურადღება. ის ამბობს, რომ საარჩევნო კოდექსში შესულმა ცვლილებებმა არჩევნებისადმი ნდობა გაზარდა.

– ჩვენ შევძელით საბჭოთა მენტალიტეტისგან გათავისუფლება. დღეს ჩვენი ქვეყანა არის რეგიონის ლიდერი. მივიღეთ მნიშვნელოვანი ცვლილებები საარჩევნო კოდექსში და არჩევნებისადმი ნდობა გავზარდეთ, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ ევროსაბჭოს ტრიბუნიდან.

გრიგოლ ვაშაძემ თავის გამოსვლაში ქვეყნის დემოკრატიზაციასა და კორუფციის მოსპობაზე ისაუბრა.

ვაშაძემ უცხოელ დეპუტატებს უთხრა, რომ საქართველო დემოკრატიული გარდაქმნების მაგალითია.

– 2008 წელს ვინმეს რომ ეთქვა, ჩვენ ასეთ სიმაღლეზე ავიდოდით, ვერ დავიჯერებდი. თუმცა წინ დიდი საქმეები გველის იმისთვის, რომ შემდგომი გზაც იყოს წარმატებული, – განაცხადა ვაშაძემ.

გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ ჩვენ არასოდეს ვამბობთ – არას მოლაპარაკებებზე. ეს ვაშაძემ ასამბლეაზე ჰოლანდიის დეპუტატის კითხვაზე პასუხისას განაცხადა.

– ჩვენ ამისთვის მზად ვართ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას, მაგრამ პირველ რიგში უნდა გავიგოთ მოლაპარაკებების მიზანი, როგორი სტრუქტურა ექნება მოლაპარაკებებს, – აღნიშნა ვაშაძემ.

ევროსაბჭოს კიდევ ერთი დეპუტატი დაინტერესდა, როგორ შედგება დიალოგი, როცა რუსეთი საქართველოს მოქმედ ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე უარს ამბობს.

– რუსეთის ხელისუფლებას არ სურს, საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას ესაუბროს. 2012-2013 წლების არჩევნების შემდეგ, როდესაც ახალ ხელისუფლებას აირჩევენ, გარწმუნებთ, რომ რუსეთი მასაც არ დაელაპარაკება, ვინაიდან ოკუპირებული რეგიონების აღიარებით რუსეთმა თავი კატასტროფულ იურიდიულ ჩიხში ჩაიგდო, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლის შემდეგ დეპუტატების კითხვებს უპასუხა.

ვაშაძე გამოსვლის დროს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას, ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების დაწყებასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის მნიშვნელობასაც შეეხო.

– მას შემდეგ, რაც ვფიქრობთ დემოკრატიის გამყარებაზე, ვხვდებით, რომ უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის გარეშე ეს მიუღწეველია. საქართველო პარტნიორია, რომელიც უსაფრთხოების არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ მიმწოდებელიცაა. რუსული აგრესიის მსხვერპლია უამრავი ადამიანი საქართველოში, ამიტომ გვჭირდება ეფექტური ურთიერთობები. საქართველო მხარს უჭერს ევროსაბჭოს რეფორმებს, მაგრამ ჩვენი აზრით, უფრო ამბიციური გეგმაა საჭირო. საჭიროა ცვლილებები ევროსაბჭოს მუშაობაში, რომ გადაუწყვეტელი საკითხები აღარ გვქონდეს, – აღნიშნა გრიგოლ ვაშაძემ.

ჟან-კლოდ მინიონმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მან აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში შექმნილ მდგომარეობას აუტანელი უწოდა.

მინიონმა აღნიშნა, რომ თავის დროზე მან ხმა მისცა ევროსაბჭოში რუსეთის მიღებას. – წევრობა მხოლოდ საკმარისი არ არის, აღებული ვალდებულებები უნდა შეასრულო. რუსეთს უამრავი პრობლემა აქვს. მაგალითად, პრობლემა საქართველოსთან. ხომ იყო შეთანხმებები, რომლებსაც ხელი მედვედევმა და სარკოზიმ მოაწერეს და ეს შეთანხმებები უნდა დაიცვან. სამწუხაროდ, ასამბლეის ხელმძღვანელის ორწლიანი მანდატი ცოტაა ამ ყველა ამ საკითხის მოსაგვარებლად. მოგვიწევს მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანის ამორჩევა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ევროკავშირის დახმარების გარეშე მათი მოგვარება შეუძლებელი იქნება. მე ცოტა ხნის წინ საქართველოში ვიყავი და უნდა ვაღიარო, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით სიტუაცია აუტანელია, – განაცხადა ასამბლეის თავმჯდომარემ.

მინიონმა განაცხადა, რომ ამ რეგიონებში ქართული ტერიტორიიდან ვერ შეაღწია და მხოლოდ ე.წ. სამხრეთ ოსეთის სადემარკაციო ხაზთან იმყოფებოდა.

– არ არის გასაკვირი, რომ ბევრი სიტუაციიდან გამოსავალს ვერ ხედავს, როცა ქვეყანა სავსეა დევნილებით, რომელთა სახლებიც დანგრეულია. ვფიქრობ, რუსეთმა, ასეთმა დიდმა და გავლენიანმა ქვეყანამ, პრობლემის რაც შეიძლება მალე მოგვარებისთვის უნდა იმოქმედოს, – აღნიშნა მინიონმა.

# მეღვინეობის ინსტიტუტი ნადგურდება

## ვის ხელში აღმოჩნდება უნიკალური 26 300 ბოთლი ღვინო?

შალვა ჯოხაძე

ხელისუფლებას სხვადასხვა მნიშვნელოვანი დარგის განადგურება და მიწასთან გასწორება კარგად გამოსდის. თუმცა, მართლაც გაუგებარია, რას ერჩის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტს. აკი, მეღვინეობა საქართვლოს პრიორიტეტიაო?! სიტყვით მეღვინეობას ქვეყნის №1 დარგად აცხადებენ, თუმცა საქმით საპირისპიროს აკეთებენ. ეს ინსტიტუტი დღეს შველას ითხოვს და მთავრობის მიმართ რამდენიმე მოთხოვნა აქვს. ინსტიტუტის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პიროვნულად საკუთარი ინტერესების დასაცავად კი არ გამოდიან, არამედ სწორედ დარგის გადარჩენა სურთ.

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა „ახალ თაობასთან“ საუბრისას განაცხადეს, რომ 120 წლის ისტორიის მქონე ეს ინსტიტუტი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იმყოფება.

– 2006 წელს ინსტიტუტს კუთვნილი შენობა დაატოვებინეს, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მფლობელობაში გადავიდა. ხოლო ჩვენ, ამავე ტერიტორიაზე ყოფილი „საქბაღვენახპროექტის“ შენობაში განვთავსდით.

ინსტიტუტის მფლობელობაშია ექსპერიმენტული მარანი უნიკალური ენოთეკითა და 26 300 ბოთლი ისტორიული ღვინით, მევენახეობა-მეღვინეობის მუზეუმითა და სადეგუსტაციო დარბაზით, რომელიც, შესამამისი მიწის ფართობით, ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით, 2007 წელს ინსტიტუტს უზურფრუქტის წესით გადმოეცა.

2002-2008 წლებში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეფორმის პროგრამის ფარგლებში, ინსტიტუტის ცენტრალური ლაბორატორია უახლესი აპარატურით აღიჭურვა.

ინსტიტუტის განადგურება დაიწყო იმით, რომ ჯერ კერძო პირზე გასხვისდა ინსტიტუტის ვაშლიჯვრის ექსპერიმენტული ბაზა, სადაც გაშენებული იყო



ქართული აბორიგენული ვაზის (450 ჯიშზე მეტი) და ხეხილის ჯიშების მდიდარი კოლექციები. შემდეგ კი ვაზის ნარგაობა თელავის ექსპერიმენტულ ბაზაზე გადაიტანეს, რომელიც, ასევე, კერძო პირზე გასხვისდა. ვაზისა და ხეხილის კოლექცია ჩვენი მეთვალყურეობის გარეშე დარჩა და განადგურების პირასაა, – აცხადებენ ინსტიტუტის წარმომადგენლები.

არსებული სირთულეების მიუხედავად, ინსტიტუტი დღესაც ასრულებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, ახორციელებს სამეცნიერო გრანტებს და აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდა თაობის სპეციალისტთა მომზადებაში.

– განვაგრძობთ დიდი ტრადიციების ფუძემდებლების – სოლომონ ჩოლოყაშვილის, ნიკოლოზ ხომეზურაშვილის, ვარლამ ღვალაძის, სერგი დურმიშიძის, დიმიტრი ტაბიძის, მაქსიმე რამიშვილის, გიორგი ბერიძის, ანდრო ლაშხისა და სხვათა სამეცნიერო გზას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის მინიმუმადე დაყვანა, მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფელის მოშლა, ექსპერიმენტული ბაზების (მიკრომეღვინეობა, ხილის შენახვა-გადამუშავების განყოფილება, ენოთეკა, მევენახეობა-მეღვინეობის მუზეუმი და ისტორიული სადეგუსტაციო დარბაზი, სადაც ჩატარდა მსოფლიო კონგრესი), ინსტიტუტის შენობის გასხვისება სოფლის მეურნეობის სამინისტროზე, ლაბორატორიის დემონტაჟი და სხვა ადგილზე გადატანა არის არა მხოლოდ უარყოფა და დავიწყება ჩვენი წინაპრების ნაშრომ-ნაღვაწისა, არამედ ქართული მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო ბაზის განადგურების დასაწყისი, რასაც სამომავლოდ გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება.

საქართველოს მთავრობას მივმართავთ თხოვნით, გაგვიწიოს დახმარება, რათა ერთად გადავარჩინოთ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ეროვნული ტაძარი. ამავდროულად, ვაცხადებთ, რომ ჩვენნ არ გაგვაჩნია პრეტენზია, ვიყოთ ერთი რომელიმე უწყებრივი დაქვემდებარების ქვეშ – იქნება ეს აიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი თუ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვაზის, ხილისა და ღვინის სამშობლოში, ვაზის ჯვრით განათლებულ ქვეყანაში, რომელსაც ეროვნულ ჰიმნად „შენ ხარ ვენახი“ ჰქონდა, განა მართებულია, არ არსებობდეს ერთი სათაო დარგობრივი ინსტიტუტი მაინც, როდესაც მსოფლიოს ყველა სოფლის მეურნეობის წამყვან ქვეყნებში არის – რამდენიმე (მოლდავეთი, უკრაინა, გერმანია, პოლონეთი, საფრანგეთი, იტალია და ა.შ.), – დასძენენ ინსტიტუტის წარმომადგენლები.

# სააკაშვილმა რუსული ვარიანტი არ უნდა გაითამაშოს

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრ გიორგი გოგნიაშვილთან

***— როგორია ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის პოზიცია პარტიების დაფინანსების შეზღუდვასთან დაკავშირებით?***

— პარტიებისთვის იურიდიული პირის მხრიდან შეიზღუდა დაფინანსება. ეროვნულ–დემოკრატიული პარტიისთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს, ჩვენ არასოდეს მიგვიღია დაფინანსება არც ერთი იურიდიული პირისგან. ნაციონალები იღებდნენ ამ დაფინანსებას, რამდენადაც ვიცი. რაც შეეხება სხვა პარტიებს, ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ გაჩნდნენ ასეთი პარტიები, რამდენიმე პარტია დაფინანსდა კიდეც იურიდიული პირისგან, 2012 წლიდან კანონი მოქმედებაში შევიდა და ველარ დაფინანსდებიან იურიდიული პირებისგან. ხელისუფლება ბიზნესმენებს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას არ აძლევდა, მარწუხებში ჰყავდა, ამიტომ ჩვენ ვერ გვაფინანსებდნენ, ოლიგარქი ივანიშვილი აფინანსებდა თავის მიერ მოწონებულ პარტიებს. კერძო პირებისგან შემოწირულობას რაც შეეხება, ესეც განისაზღვრა, ეს ყოველივე არ გამომდინარეობს მხოლოდ მმართველი პარტიის ინტერესებიდან. საერთაშორისო ორგანიზაციები გვირჩევდნენ, რომ ეს საკითხი ადრე თუ გვიან მოწესრიგებულიყო. ეს სისტემა მოუწესრიგებელი იყო საქართველოში, შემოწმების ფუნქცია რომ კონტროლის პალატას დაეკისრა, ამით აღფრთოვანებული არა ვარ, მაგრამ უწყება რომ უნდა ყოფილიყო, რომელიც პარტიების თანხების განკარგვას შეამოწმებდა, ამის თაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციები რეკომენდაციებს გვაძლევდნენ.

***— რიგი პოლიტიკური ორგანიზაციებისა უკმაყოფილოა იმით, რომ მათ ხარჯებს ის ორგანო გააკონტროლებს, რომელიც საბიუჯეტო სახსრების დახარჯვას აკონტროლებს. ხომ არ ჯობდა ცალკე უწყება შექმნილიყო?***

— შეიძლებოდა ასეთი უწყება შექმნილიყო, ამაში დიდ უბედურებას ვერ ვხედავ. თუ სახელმწიფო არ გამოიყენებს ამას თავის სასარგებლოდ, მმართველი აპრტიის დარღვევებზე თვალს დახუჭავს და სხვა პარტიებს ალმოუჩენს მარტო დარღვევებს, ეს იქნება პარტიების საქმიანობაში უხეში ჩარევა. თუ კანონიერად მიუდგა ამ საკითხს კონტროლის პალატა, რა თქმა უნდა, კარგი იქნება, მიკერძოების შემთხვევაში ამაზე ხმის ამაღლება შეიძლება და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა ასეთი ფაქტების შესასწავლად. პირადად ჩემთვის უფრო მისაღები იქნებოდა, ამ მიზნით ცალკე უწყება რომ შექმნილიყო.

***— ასეთი აკრძალვები ხომ არ უბიძგებს პარტიებს, რომ ქვეყნის გარეთ ფარული დაფინანსება ეძებონ?***

— ეს ძველი კანონმდებლობითაც აკრძალული იყო, რომ პარტიები უცხოეთიდან დაფინანსებულიყვნენ იურიდიული, გინდა კერძო პირებისგან. საქართველოს მოქალაქე თუ არ არის პირი, უფლება არა აქვს დააფინანსოს პარტია. ვინც საქართველოს საზღვრებს გარეთ დაიწყებენ თანხების ძებნას, კანონის დამრღვევებად იქნებიან განხილული და მათ შესაბამისად მიუდგება სახელმწიფო. მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა გაუზარდოს დაფინანსება პარტიებს იმიტომ, რომ არსებული დაფინანსება საკმარისი არ არის საარჩევნო კამპანიისთვის. რამდენი უნდა იყოს დაფინანსება, ამის შესახებ მსჯელობა აუცილებლად იქნება პარლამენტში.

***— პარტიები არათანაბარ პირობებში არიან. შაშიაშვილმა განაცხადა ჩვენთან ინტერვიუში, რომ ივანიშვილის კოალიციაში მყოფი პარტიები მილიონებით ფინანსდებიან, სხვა პარტიებს კი ივანიშვილი კლავს. ეთანხმებით ამ პოზიციას?***

— ივანიშვილმა იმ ოთხ პარტიას ფული გადაურიცხა კანონის დაცვით. ჩემთვის ეს მიუღებელი ფაქტია იმიტომ, რომ ხდება პოლიტიკის კომერციალიზაცია, ეს კი ქვეყნისთვის სახიფათოა. ყველა პარტიას თანაბრად უნდა მიუწვდებოდეს ხელი თანხებზე. რახან მე ბევრი ფული მაქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცოტა ფული ვისაც აქვს, იმ პარტიას ვაჯობო. პოლიტიკის მონოპოლიზირება მიღებელია ჩემთვის. ნაციონალურ მოძრაობას თავის დროზე მიღებული ჰქონდა უკვე იურიდიული პირებისგან დიდი თანხები და ისიც მდიდარ ორგანიზაციას წარმოდგენს. ცუდ დღეში ვართ ის პარტიები, რომლებსაც ამის საშუალება არც მანამდე გვქონდა და დღეს ამას კანონიც გვიკრძალავს. 3600 საარჩევნო უბანია საქართველოში, დამკვირვებელი რომ ყველა ამ უბანზე დავაყენოთ, ასი ლარიც რომ გადავუხადოთ, 360 ათასი ლარი გამოდის. კანონში ჩაიწერა, რომ პარტიამ, რომელიც გადალახავს 5%–იან ბარიერს, ბიუჯეტიდან მიიღებს ერთ მილიონ ლარს, აქედან სამასი ათასი ლარი დაიხარჯება მედიაში რეკლამის განთავსებაზე. რაოდენობა ამ დაფინანსებისა სახელმწიფოს მხრიდან უნდა გაიზარდოს, რომ პარტიებს არ ჰქონდეთ არალეგალური თანხების მოძიების ცდუნება.

***— გია თორთლაძემ განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნებში პარტნიორი პარტიების მოძებნის თვალსაზრისით დიდი არჩევანი არა აქვს, სულ ექვსი პარტიაა მისი აზრით, რომლთანაც ის მოისურვებდა თანამშრომლობას. მემარჯვენე ფლანგზე დიდი არჩევანი არ არის. რა გეგმები გაქვთ ეროვნულ–დემოკრატებს?***

— ჩვენ მობილიზება და წინასაარჩევნო სამზადისი უკვე დაწყებული გვაქვს გასული წლის გაზაფხულიდან. განვაახლეთ პარტიული ორგანიზაციები, დიდი სამუშაო ჩავატარეთ, რომ პარტიული სტრუქტურები მზად ყოფილიყვნენ საარჩევნო კამპანიისთვის. ეს პროცესი დავასრულეთ და დღეიდან უკვე დავიწყეთ საარჩევნო კამპანია. ჩვენ ვემზადებით, რომ დამოუკიდებლად გადავლახოთ ხუთპროცენტიანი ბარიერი, ამის განხორციელება შესაძლებელია. ქართული პოლიტიკური სპექტრი ორ პოლუსად ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, ნაციონალური მოძრაობა და მეორე მხრივ, ივანიშვილის კოალიცია. ივანიშვილი აცხადებს, შუა უნდა გაიკრიფოსო. ამ შუა ადგილზე მყოფ პარტიებს გარკვეული რესურსები გვაქვს, რომ მხარდამჭერები გვყავდეს, დღეს ადამიანები ბრჭყვიალა კანფეტებზე აღარ იყიდებიან. ცალკე გავდივართ, მაგრამ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ მემარჯვენე კოალიცია შეიქმნას და ამ კოალიციაში გავერთიანდეთ.

***— ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ასეთი კოდექსის პირობებში ის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, რა შანსები აქვთ, თქვენი აზრით, რუსეთისადმი ლოიალურ პარტიებს არჩევნებში, მაგალითად, კუკავას, „ქართულ პარტიას“?***

— არ ვიცი ისინი რას შემოგვთავაზებენ, რუსული ორიენტაციის ძალებში მარტო ესენი არ არიან, მე მოვიაზრებ ამ ძალებში ბიძინა ივანიშვილის კოალიციასაც. რესპუბლიკელებს და ალასანიას დღეს დამოუკიდებელი პოლიტიკა არ გააჩნიათ, რასაც ივანიშვილი ბრძანებს, იმას აკეთებენ, კოალიციის პოზიციები რუსეთისადმი ლოიალურობაზე მიანიშნებს. როცა მეუბნებიან, პუტინი დემოკრატი მმართველია, აქედანვე ჩანს, როგორ არიან განწყობილი მის მიმართ. ამ კოალიციას ძლიერი ფინანსური შესაძლებლობები აქვს და ამის იმედად სურთ გაიტანონ ლელო. რაც შეეხება მეორე ძალებს, ამათ იმედი ჰქონდათ, რომ რუსული ფული შემოვიდოდა და ამით მოახერხებდნენ ამომრჩევლების მოსყიდვას. საბედნიეროდ კანონმდებლობით ეს აიკრძალა, რუსული ფულის შემოდინება, დარწმუნებული ვარ, საქართველოში აღარ მოხდება და რუსეთუმეებს გაუჭირდებათ საარჩევნო ბარიერის გადალახვა. რუსეთზე ორიენტირებულ ძალებს საქართველოში მომავალი არ გააჩნიათ.


გიორგი გოგნიაშვილი

***— სააკაშვილმა შეიძლება პოსტი დატოვოს და ნაციონალების სიას სათავეში ჩაუდგეს. ამაზე როგორია თქვენი მოსაზრება?***

— ყველა საარჩევნო სუბიექტის მიმართ ჩემი დამოკიდებულება ერთია – კანონი არ უნდა დაარღვიოს, თუ სააკაშვილმა მოინდომა პრემიერმინისტრობა, ეს რუსულ ვარიანტს დაემსგავსება და ეს მიუღებელია მორალურად, თორემ კანონი არ დაირღვევა, თუ პარლამენტის თავმჯდომარეობა უნდა, ეს ნაციონალების პირადი საქმეა, ეს შეიძლება მომეწონოს ან არა, თუმცა ახალგაზრდაა და ვერ ვაიძულებთ სახლში დაჯდეს.

***— როგორია სააკაშვილის რეიტინგი?***

— დღეს რეიტინგებზე საუბარი რთულია, რეიტინგები მუდმივად იცვლება, თუმცა მოგვწონს თუ არა, გამოკითხვებით სააკაშვილს რჩება მაღალი რეიტინგი, ეს ოპოზიციის შეცდომაა, რომ მან ჯეროვანი ქმედებები არ განახორციელა, რათა დაეგდო სააკაშვილის რეიტინგი.

***— პრესა მსჯელობს ობამასა და სააკაშვილის პირველ ოფიციალურ შეხვედრაზე. თქვენი აზრით, რა საკითხებზე იქნება საუბარი?***

— პირველ რიგში, ვფიქრობ, რეგიონის უსაფრთხოებაზე იქნება საუბარი, სამხედრო თანამშრომლობაზე. ბუშის ადმინისტრაციამ მოახდინა ხელმოწერა ურთიერთთანამშრომლობის ქარტიაზე, მთელი რიგი პუნქტებია, რაც უნდა განხორციელდეს, ასევე საქართველოსთვის თავდაცვითი იარაღის მიყიდვაზე, თუმცა ასევე იქნება საუბარი არჩევნებზეც საქართველოში. დასავლეთი დაინტერესებულია, რომ აქ დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს. ობამა დაინტერესდება, რა პირობებია შექმნილი საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. წელს ჩიკაგოში ნატოს სამიტი იმართება, საქართველოს სასიკეთო მოლოდინი აქვს. სამიტმა გარკვეულ კითხვებს პასუხი უნდა გასცეს, არ ვართ მიამიტები არ ვფიქროთ, რომ 21 მაისს სამიტზე გამოცხადდება, რომ საქართველო ნატოშია, მაგრამ წინსვლა იქნება. ეს არის საქართველოს ერთადერთი ხსნა რუსული აგრესიისაგან. გადატვირთვის პროგრამამ ცუდად იმუშავა, დასავლეთი გააღიზიანა რუსეთში ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა. ევროსაბჭომ ახლახან მიიღო დოკუმენტი, რომელშიც ის რუსეთს უწევს რეკომენდაციას, საკანონმდებლო ცვლილებები გატარდეს საარჩევნო კოდექსში, რომ დემოკრატიული არჩევნები იყოს უზრუნველყოფილი. თუ აშშ–ს ადმინისტრაცია ასე პირდაპირ სააკაშვილთან შეხვედრას ერიდებოდა, რომ არ გაეღიზიანებინა რუსეთი და გადატვირთვას პრობლემა არ შექმნოდა, ახლა ასე არ არის.

***— მოსალოდნელი კონფლიქტის გამო ირანთან, საქართველოს უსაფრთხოებაც ხომ არ დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ, გივი თარგამაძემ განაცხადა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო ფარების დაყენების საკითხი არ იხილება?***

— ჯერჯერობით ოფიციალურად არ გამოცხადებულა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების საქართველოში დაყენების შესახებ. შეიძლება ცალკეული სენატორი ამას ამბობს, მაგრამ ეს არ არის ოფიციალური ვაშინგტონის განცხადება. პირადად მე მივესალმებოდი, აქ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები რომ დაეყენებინა ამერიკას, მაგრამ ასეთი განცხადება არ გაკეთებულა. საქართველოში რუსეთის შემოსვლას დასავლეთი არ შეეგუება. ევროპის კონტინენტი შეიძლება გაიყოს ორად, საქართველოში რუსეთი რომ შემოვიდეს. ნავთობპროდუქტებს ირანი და რუსეთი გააკონტროლებენ, ამას კი არც ევროპა დაუშვებს და არც აშშ. ჩვენ თუ რუსეთუმეები არ გავხდებით და გონიერად ვიმოქმედებთ, გადავრჩებით. სტოკჰოლმის სინდრომი არ უნდა დაგვემართოს, დამპრობელი არ უნდა შეგვიყვარდეს.

# სუბრ ნშანის დასუფთავება დაიწყო

ეკა ირემაშვილი

როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი განმარტავს, 2011 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, „საქართველოს იკომოსმა“ სუბრ ნშანის სრული რეაბილიტაციის პროექტი მოამზადა, რომელიც საფუძვლად დაედება ძეგლზე ფიზიკური სამუშაოების განსახორციელებელ პროექტს.

ამ ეტაპზე კი ქალაქ თბილისის მერია ახორციელებს ტაძრის ინტერიერისა და მთელი ტერიტორიის დასუფთავებით სამუშაობს, რომლის შემდეგ, ძეგლის რეაბილიტაციის მომდევნო ეტაპი დაიწყება.

— სუბრ ნშანის ეკლესიის აუცილებელი გამაგრებითი სამუშაოები გაზაფხულზე დაიწყება. აუცილებლად მოხდება გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, იმისათვის, რომ ძეგლის დანგრევა არ მოხდეს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის გეგმით მოხდება სუბრ ნიშანის ჩამოშლილი სვეტის აღდგენითი სამუშაოები, ხოლო ტაძრის კარიბჭესა და ინტერიერში მოეწყობა ძალოვანი ხარაჩოები, რომელიც უზრუნველყოფს ძეგლის უსაფრთხოებას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, გადარჩენა და პოპულარიზაცია სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ქვეყანაში ძეგლთა რეაბილიტაცია ხორციელდება განურჩევლად მათი რელიგიური და კონფესიური კუთვნილებისა. უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით რამდენიმე ათეული პროექტი განხორციელდა, მათ შორის მომზადდა ნორაშენის ეკლესიის საპროექტო დოკუმენატია და ჩატარდა მოღნისის არქიტექტურული გამაგრების გადაუდებელი ღონისძიებები, – ამბობს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, კელესიაში ხანძრის შედეგად მიღებული ზარალი მინიმალურია. ტაძარი საჭიროებს რესტავრაციას, იმისათვის, რომ ძეგლის დანგრევა არ მოხდეს. პროექტირება ამ დროისათვის არ არის დასრულებული, ხოლო აუცილებელი გამაგრებითი სამუშაოები უკვე გაზაფხულზე დაიწყება.

— ეკლესიაში გაჩენილი ხანძრის შედეგად გაზეთების უსარგებლო ნაწილია დამწვარი. თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურები ეკლესიას ასუფთავებენ, გამაგრებებს კი ჩვენ გავაკეთებთ. ძეგლის სრულად რეკონსტრუქცია მომვალის საკითხია, – ამბობს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

ვერცხლის ქუჩაზე უმოქმედო ეკლესიასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა საქართველოს საპატრიარქომ:

— როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, ახალი წლის დღეებში, თბილისის ძველ უბანში, ვერცხლის ქუჩაზე მდებარე წმიდა ნიკოლოზის უმოქმედო ეკლესიაში, რომელსაც სომხები „სუბრ ნშან“-ს უწოდებენ, გაჩნდა ცეცხლი და ტაძარი დაზიანდა. ეს ფაქტი


ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

ჩვენს გულისტკივილს იწვევს. სამწუხაროა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია გარკვეულ ცდომილებებს შეიცავს. ვერცხლის ქუჩაზე მდებარე ტაძარში, პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს გადაუდებელი გამაგრებითი სამუშაოები, შემდეგ კი უნდა შეიქმნას ერთობლივი კომისია, რომელიც ჩაატარებს არქეოლოგიურ კვლევებს და დადებს სათანადო დასკვნას. ამ საქმეში კი აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა როგორც საქართველოს საპატრიარქოს, ისე სომხური მხარის წარმომადგენლებმა, რათა მიუკერძოებლად განისაზღვროს ტაძრის წარმომავლობა, აქედან გამომდინარე კი – მისი კუთვნილების საკითხი. ანალოგიური მიდგომით უნდა განხორციელდეს

გაგრძელება მე-10 გვერდზე

უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 1000კვ.მ და 2000კვ. მ. შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 8790-90-32-96; 2-53-15-87. 568 657486.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დავით თარგამაძე: მომწონს, როდესაც გუნდში მაღალი კონკურენციაა“

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ დავით თარგამაძეს მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე კლუბის შეცვლა რომ მოუწევდა, გარდაუვალი იყო. მის გადაბირებას რამდენიმე გუნდი ცდილობდა, მაგრამ საბოლოოდ დონეცკის „შახტარში“ აღმოჩნდა, რომელმაც მარიუპოლის „ილიჩოვეცში“ გაანათხოვრა.**

ერთ-ერთ რუსულ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში თარგამაძე ამბობს, რომ კონკრეტული წინადადებით მხოლოდ „შახტარმა“ მიმართა და არჩევანიც დონეცკელებზე ამიტომ შეაჩერა.

***— მარიუპოლის „ილიჩოვეცში“ როგორ მიგიღეს?***

— ყველაფერი საუცხოოდაა, მარიუპოლელებს კარგი გუნდი ჰყავთ და თბილად მიმიღეს. მართალია ჯერ კიდევ ადაპტაციის პროცესში ვარ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ახალ გუნდში ყველა პარტნიორი გავიცანი.

***— მანამდე „ილიჩოვეცის“ რომელიმე ფეხბურთელს იცნობდით?***

— მხოლოდ ჩემს თანამემამულე თორნიკე ოქრიაშვილს. შეიძლება ითქვას, რომ ახალ გუნდში ის მმეურვეობს. შეკრებაზე ერთ ოთახში ვცხოვრობთ — თორნიკე ძალიან მეხმარება.

***— ახლა საწვრთნელი შეკრება მიმდინარეობს. რით განსხვავდება „ილიჩოვეცში“ მზადების პროცესი იმისგან, რაც „ოლექსანდრიაში“ ვოლოდიმირ შარანთან მუშაობის დროს გაიარეთ?***

— ჯერ შედარება ძნელია, რადგან იალტაში ძირითადად დავრბივართ. ბურთით ვარჯიში ცოტა ხნის წინ დავიწყეთ.

***— „ილიჩოვეცში“ რომელ პოზიციაზე აპირებენ თქვენს გამოყენებას?***

— ვფიქრობ, მწვრთნელი ამ საკითხს შეკრებისა და ამხანაგური მატჩების ჩატარების შემდეგ გადაწყვეტს.

— თავად სად უფრო მოგწონთ თამაში?

***— მე უფრო ფლანგებზე მომწონს თამაში — მარჯვნივ ან მარცხნივ. ცენტრშიც შემიძლია.***

— რა ნომრით ითამაშებთ „ილიჩოვეცში“?

***— 99-ით. საერთოდ „ათიანი“ მომწონს, მაგრამ „ილიჩოვეცში“ დაკავებული აღმოჩნდა.***

— საწყენი არ იყო, „შახტართან“ კონტრაქტის გაფორმებიდან მეორე დღესვე „ილიჩოვეცში“ რომ გაგანათხოვრეს?

***— არანაირი წყენა არ მქონია. ეს საკითხი ჯერ კიდევ დონეცკელებთან კონტრაქტის გაფორმებამდე განვიხილეთ. მით უმეტეს, „შახტარის“ პრეზიდენტ რინატ ახმეტოვს ვესაუბრე, რომელმაც მითხრა, რომ ზაფხულში უკრაინის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ „შახტარში“ ვიქნები.***

— ბრაზილიელებთან კონკურენცია არ გაშინებთ?

— არა, რა თქმა უნდა. პირიქით, მომწონს, როდესაც გუნდში მაღალი კონკურენციაა.

***— ვიდრე „შახტართან“ კონტრაქტს გააფორმებდით, ბევრი ჭორი ვრცელდებოდა იმ გუნდების შესახებ, რომლებიც თქვენზე „ნადირობდნენ“.***



***დონეცკელთა შეთავაზება რომ არა, სად შეიძლებოდა აღმოჩენილიყავით?***

— ვიდრე „შახტარიდან“ დამირეკავდნენ, მოსკოვის „დინამოს“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს შევხვდი. ვისაუბრეთ, მაგრამ კონკრეტული წინადადება სწორედ „შახტარიდან“ მივიღე.

***— „ოლექსანდრიას“ ამჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა ლეონიდ ბურიაკმა განაცხადა, რომ თქვენი კანდიდატურა კიევის „დინამოს“ შესთავაზა. კიეველები არ დაგკავშირებიან?***

— ეს საუბარი მეც გავიგე, მაგრამ მხოლოდ ჭორის დონეზე.

***— როდესაც „ოლექსანდრიას“ ტოვებდით, ახალი გუნდის შესახებ შარანთან კონსულტაცია გქონდათ?***

— ამის შესაძლებლობა არ მქონია, რადგან როცა შვებულებაში გავდიოდი, არ ვიცოდი, „ოლექსანდრიაში“ დავრჩებოდი თუ კარიერას სხვაგან გავაგრძელებდი. ამ დღეებში შარანს ტელეფონით ვესაუბრე და „კარპატის“ მთავარ მწვრთნელად დანიშვნა მივულოცე.

***— მარიუპოლი შორს არ არის დონეცკისგან, სადაც რამდენიმე თვის შემდეგ გადასვლა მოგიწევთ. „ილიჩოვეცში“ თამაშის პერიოდში სად იცხოვრებთ?***

— ფაქტია, ჯერჯერობით მარიუპოლში. ახლა ჩემი ფიქრი მხოლოდ „ილიჩოვეცს“ უკავშირდება.

# ქართული კლუბები თურქეთს მიექანებიან

ახალი სეზონისთვის მზადებას შედარებით მწირი ბიუჯეტის გუნდები თურქეთში გაივლიან. თუმცა, ამ სიაში ქუთაისის „ტორპედოც“ ფიგურირებს, რომელსაც არც სხვაგან გაუჭირდებოდა კლუბის მომზადება.

ქუთაისელები ანტალიაში არიან და თუ ამინდი ხელს შეუწყობდათ, გუშინ საღამოს პირველ საკონტროლო მატჩსაც გამართავდნენ.

ანტალიაში გაემგზავრა რუსთავის „მეტალურგიც“. მთავარმა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა თურქეთში შემდეგი ფეხბურთელები წაიყვანა:

**მეკარეები:** გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი;

**მცველები:** ლაშა ჯაფარიძე, მიხეილ მახვილაძე, გივი კვარაცხელია, სევასტი თოდუა, დენის დობროვოლსკი, შალვა ექვთიმიშვილი, ლერი ხოხონიშვილი, გელა ოთარაშვილი;

**ნახევარმცველები:** გიორგი ქავთარაძე, ლუკა რაზმაძე, ირაკლი მაისურაძე, გიორგი სეთურიძე, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი გავაშელიშვილი, გიორგი თექთურმანიძე, რევაზ გეწაძე.

**თავდამსხმელები:** გიორგი ჭედია, ირაკლი სიხარულიძე, ირაკლი მოდებაძე, დიმიტრი ტატანაშვილი.

ამ შემადგენლობაში ერთი სიახლეა — „მეტალურგში“ ემზადება 24 წლის მარცხენა მცველი ლერი ხოხონიშვილი, რომელიც ადრე „თბილისში“ თამაშობდა, შემდეგ კი ამ გუნდის ბაზაზე „ოლიმპი“ შეიქმნა და ცოტა ხანს იქ ითამაშა, შემდეგ თბილისის „ლოკომოტივში“, ბოლოს კი, როგორც გაირკვა, თურქეთის ქვედალიგელ ერთ-ერთ გუნდში, საიდანაც ისევ „ოლიმპში“ დააბრუნეს.

მეტალურგები თურქეთში ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ: 27 იანვარს ტირასპოლის „შერიფთან“, 30-ში — ყაზახურ „ასტანასთან“, 2 თებერვალს — რუმინულ „სპორტულთან“, 5 თებერვალს — ასევე რუმინულ „ტარგუ მურეშთან“.

ანტალიაში იმყოფება საფეხბურთო კლუბი „გაგრაც“. გაგრელთა ვებგვერდის ცნობით, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ზვიად ჯელაძემ შეკრებაზე შემდეგ ფეხბურთელები იახლა:

**მეკარეები:** გიორგი ბეგაშვილი, ილია მაღრაძე;

**მცველები:** გიორგი ტყეშელაშვილი, ირაკლი ხუციძე, ლაშა კალანდაძე, ნიკა ნარმანია, გიორგი ჯგერენაია, გუგა ფალავანდიშვილი;

**ნახევარმცველები:** ნიკოლოზ ჯიშკარიანი, გიორგი ყურულაშვილი, გიორგი ზვიადაძე, ნიკა ჭკუასელი, მიშიკო სარდალიშვილი, ჯემალ ჯალიაშვილი, ნუგზარ ხოჯაშვილი, ნოდარ კიკნაველიძე, თამაზ ჯიშკარიანი, გიორგი ერისთავი, ზაზა ნადირაძე, ლევან სეთურიძე, დავით დეკანოიძე;

**თავდამსხმელები:** ლევან ყიფიანი, შალვა კვანტალიანი, გიორგი როსტიაშვილი, ჯონ ჯერემია.

„გაგრა“ თურქულ შეკრებაზე ოთხ ამხანაგურ თამაშს ჩაატარებს: 28 იანვარს პოლონეთის „გურნიკს“ შეხვდება, 30 იანვარს — ყაზახეთის „ირტიშს“, 3 თებერვალს — ასევე ყაზახეთის „შახტიორს“, ხოლო 6 თებერვალს — პოლონეთის ქვედალიგელ „ბიტოვს“.

თურქეთშივეა გორის „დილაც“. ჯერჯერობით, გორელებს არ უსპარინგიათ და არც საბოლოო შემადგენლობაა ჩამოყალიბებული. ერთია, ქართლელები გაძლიერებას ნამდვილად აპირებენ და ამის დასტური გუნდში რუსეთიდან დაბრუნებული გოჩა ხოჯავას გადასვლაცაა. გავრცელებული ხმებით, არ არის გამორიცხული, მას ლაშა სალუქვაძეც შეუერთდეს, რომელმაც უკვე მიიღო ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგადან“ წამოსვლის უფლება და გორელებთან მოლაპარაკებებიც წამოიწყო. კულუარულად საუბრობენ „დილაში“ მათე ვაწაძის დამატებაზეც, რომელიც იმავე „ვოლგამ“ შეკრებაზე არ გაიყოლა.

თურქეთში, კერძოდ კი, დაბა ბელეკში გუშინ გაემგზავრა თბილისის „ვიტ ჯორჯია“. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ იმ 25 ფეხბურთელის ვინაობა განსაზღვრა, რომლებიც ოთხშაბათს შეკრებაზე იახლა.

**მეკარეები:** ნიკა დაუშვილი, ჯინო რეჭია, გიორგი ძძამია

**მცველები:** გიორგი გეთიაშვილი, გიორგი კალანდია, ოთარ ჯავაშვილი, დავით ხურცილავა, რევაზ ღანიაშვილი, ჯემალ გოგიაშვილი, გურამ ადამაძე.

**ნახევარმცველები:** გიორგი ვასაძე, გურამ გურეშიძე, გიორგი კორიფაძე, გიორგი გურეშიძე, ვახტანგ ჯაყელი, შოთა დავლაშელიძე, გიორგი ჯანელიძე.

**თავდამსხმელები:** ბესიკ ჩიმაკაძე, ელგუჯა ლობჯანიძე, გიგა ჯულელი, ლევან კუხალეიშვილი, ბექა ზაქრაძე, გიორგი ვაშაკიძე.

„ვიტ ჯორჯია“ თურქეთში დაბა ბელეკში ორი კვირა დარჩება და 3 საკონტროლო თამაშს ჩაატარებს.

დანარჩენი გუნდები, რომლებიც უცხოურ შეკრებას ვერ აწყობენ, საქართველოში ემზადებიან და სპარინგებს ქვედალიგელ გუნდებთან მართავენ.

ფოთის „კოლხეთმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა, პირველლიგელი ოზურგეთის „მერცხალი“ ისტუმრა და ნულოვანი ფრით დაშორდა.

ფოთელთა გუნდი ახლა იმის მოლოდინშია, თუ სად წავა შეკრებაზე. ახლახან გაუწყეთ, რომ, შესაძლოა, „კოლხეთი“ თბილისში ჩამოვიდეს, თუმცა განიხილება სხვა ვარიანტიც — შესაბამისი დაფინანსების შემთხვევაში „კოლხეთი“, ვინძლო, თურქულ შეკრებაზე წავიდეს. ამ დაფინანსებას კი ფოთელები უკვე წლებია ელიან.

სეზონის განახლებისთვის ემზადება ზუგდიდის „ბაიაც“. ოდიშელები შინ პირველლიგელ ხობის „კოლხეთს“ ეთამაშნენ და 1:0 გაიმარჯვეს — გოლი ირაკლი ეხვაიამ გაიტანა.

მომდევნო საკონტროლო შეხვედრას „ბაია“ დღეს გამართავს ოზურგეთის „მერცხალთან“.

# დავით კვირკველია: კვიპროსზე ზამთარში ისეთი ამინდია, როგორიც საქართველოში ზაფხულში“

**როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მარცხენა მცველმა დავით კვირკველიამ კლუბი შეიცვალა და ბერძნული „პანიონიოსიდან“ კვიპროსულ „ანორთოსისს“ მიაშურა. ჩვენებურს ახალ კლუბში დებიუტი უკვე ჰქონდა — „ანორთოსისმა“ სტუმრად 1:0 მოუგო „ომონიას“. კვირკველიამ ამ მატჩში შეცვლაზე ითამაშა.**



„ანორთოსისის“ ვებგვერდზე ქართველი ფეხბურთელის ინტერვიუ გამოქვეყნდა.

***— რა იცოდით „ანორთოსისის“ შესახებ?***

— ამ გუნდში რამდენიმე ჩემს თანამემამულეს უთამაშია და მათგან მქონდა ინფორმაცია. „ანორთოსისზე“ უფრო მეტი მაშინ შევიტყვე, როდესაც თემურ ქეცბაიას მწვრთნელობისას ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა. ქეცბაია ახლა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ჩემი მწვრთნელია.

***— გუნდზე როგორი შთაბეჭდილება შეგექმნათ?***

— დიდი მონდომება დავინახე არა მხოლოდ ამ გუნდის მოთამაშეებში, არამედ გულშემატკივრებში და ამით მოხიბლული დავრჩი. მინდა, ყველას დავანახო, რომ „ანორთოსისში“ თამაშს ვიმსახურებ და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. „ანორთოსისი“ ძალიან კარგი გუნდია, რომელსაც კვიპროსზე ყველაზე მდიდარი საკლუბო ისტორია აქვს.

***— კლუბის წევრებთან როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ?***

— ძალიან კარგი, პირველივე დღეს თავისიანად მიმიღეს. რუსულად ბევრი საუბრობს და ამიტომ, მათთან კონტაქტი უფრო ადვილად შემიძლია. ეტყობა, რომ კლუბში ყველა პროფესიონალია. მწვრთნელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს.

***— როგორც ფეხბურთელს, რა მიზანი გაქვთ „ანორთოსისში“?***

— მსურს, რაც შეიძლება კარგად ვითამაშო და გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გავხდე.

***— თქვენი აზრით, გუნდი წლეულს ჩემპიონობას მოახერხებს?***

— თუ გუნდი ისე ითამაშებს, როგორც „ომონიასთან“, მაშინ აუცილებლად მოახერხებს. თუ მოინდომებ და იმუშავებ, შეუძლებელი არაფერია.

***— „ანორთოსისში“ გადასვლაში ხელი ვინ შეგიწყოთ?***

— კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა და ჩემმა მეგობარმა გიორგი ქინქლაძემ.

***— დაოჯახებული ხართ? შვილები გყავთ? თქვენი ოჯახი კვიპროსზე ჩამოვა?***

— ცოლი და ორი შვილი მყავს — გოგო-ბიჭი. ისინი ჩემთან ერთად კვიპროსზე იცხოვრებენ.

***— მთლიანად კვიპროსზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

— კვიპროსზე მეექვსედ ვიმყოფები და აქაურობა ძალიან მომწონს. ეს ძალიან ლამაზი კუნძულია, სადაც კარგი ხალხი ცხოვრობს. მომწონს, რომ მთელი წელიწადი ზაფხულია. დამიჯერეთ, კვიპროსზე ზამთარში ისეთი ამინდია, როგორიც ჩემს ქვეყანაში ზაფხულში.

# მეოთხედფინალის საგზურისთვის თსსუ და თსუ იბრძოლებენ

ვაკეში მდებარე საკალათბურთო აკადემიის დარბაზში სტარტი აიღო 2012 წლის საქართველოს თასის გათამაშებამ, სადაც სუპერლიგაში მონაწილე 11-ვე გუნდი იღებს მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ პირველი წრის სატურნირო მდგომარეობის მიხედვით პირველი 7 გუნდი (არმია, ქუთაისი, ოლიმპი, სოხუმი, შსს, სტუ,დინამო) პირდაპირ მეოთხედფინალშია დაშვებული, ხოლო 8-11 (თსუ, თსსუ, ბათუმი, რუსთავი) ადგილზე გასული გუნდები მეოთხედფინალის დარჩენილი ერთი საგზურისთვის იბრძვიან.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი თსსუ-სა და „ბათუმი-რსუ-ს“ შორის, სადაც მედიკოსებმა 88:72 იმარჯვეს. მატჩის პირველი ნახევარი გუნდების გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა მეორე ათწუთეულის შუაწელში სამედიცინო გააქტიურდა და ტაიმი 8-ქულიან უპირატესობით მოიგო – 48: 40 იმარჯვეს.

შეხვედრის მეორე ნახევარი კვლავ თსსუ-ს სასარგებლოდ წარიმართა, რომელთაც ზღვისპირელებთან საბოლოოდ დამაჯერებლად იმარჯვეს. „ბათუმის“ შემადგენლობაში 21-21 ქულა ლაშა კეშელავამ და ირაკლი მიქელაძემ მიითვალეს, ამ უკანასკნელმა კი 9 მოხსნაც მიითვალა და ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა. სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდს 25 ქულით ნემანია ილიჩმა ულიდერა, 13 ქულითა და 16 მოხსნით კი ორმაგი დუბლი აკაკი დვალიშვილის ანგარიშზეა. საინტერესო და დაძაბული გამოდგა თსუ-რუსთავის მატჩი, რომელშიც 96:89 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა იმარჯვა და მეოთხედფინალის საგზურისთვის თსსუ-ს დაუპირისპირდება. შეხვედრის პირველი ნახევარი გუნდების გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, რომელიც რუსთაველებმა მინიმალური სხვაობით, 49:48 მოიგეს. დაძაბული გამოდგა მატჩის მესამე ათწუთეულიც, სადაც გუნდებმა კვლავ თანაბრად ითამაშეს და ტაბლოზეც ფრე დააფიქსირეს – 79:79. გადამწყვეტი აღმოჩნდა მეოთხე, დასკვნითი პერიოდი, რომელშიც საბოლოოდ თსუ-მ იძალა.

სტუდენტებს 24 ქულით თორნიკე ნინიაშვილმა ულიდერა, ხოლო ქვემოქართლელების მხრიდან 33 ქულით საუკეთესო ლევან ხმელიძე აღმოჩნდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| განა-ბოსტვანა | 1:0 |
| მალი-გვინეა | 1:0 |

**ინგლისი. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| კარდიფი-კრ.პალასი | 1:0 |

**ესპანეთი. სამეფო თასი**

| | |
|---|---|
| მირანდესი-ესპანიოლი | 2:1 |

**იტალია. თასი**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი-რომა | 3:0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| მოზერველი-დანფერმლაინი | 3:1 |

**ბელგია. პროლიგა**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-გენტი | 3:1 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| მანისა-სამსუნი | 1:1 |
| სივასი-ანთალია | 2:1 |
| ბეშიქთაში-გაზიანთები | 3:2 |
| მერსინი-ქაისერი | 1:2 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-ორლანდო | 83:102 |
| შარლოტი-ნიუ იორკი | 78:111 |
| მაიამი-კლივლენდი | 92:85 |
| ფინქისი-ტორონტო | 96:99 |
| პორტლენდი-მემფისი | 97:84 |

**წყალბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-ესპანეთი | 11:9 |
| ჰოლანდია-იტალია | 11:11(2:4პ) |
| დ.ბრიტანეთი-გერმანია | 13:11(დდ) |

**ხელბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ისლანდია | 31:26 |
| საფრანგეთი-ხორვატია | 22:29 |
| უნგრეთი-სლოვენია | 30:32 |

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| მიურეი-ნიშიკორი | 6:3;6:3;6:1 |
| ჯოკოვიჩი-ფერერი | 6:4;7:6;6:1 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| კვიტოვა-ერანი | 6:4;6:4 |
| შარაპოვა-მაკაროვა | 6;2;6:3 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| აილენდერსი-ტორონტო | 3:4(ოტ) |
| ვაშინგტონი-ბოსტონი | 5:3 |
| ნიუ ჯერსი-ბუფალო | 1:1(0:1ბ) |
| რეინჯერსი-ვინიპეგი | 3:0 |
| ტამპა ბეი-კოლამბუსი | 4:2 |
| ფლორიდა-ფილადელფია | 2:2(0:1ბ) |
| სენტ ლუისი-პიტსბურგი | 2:2(0:1ბ) |
| დალასი-ანაჰაიმი | 1:0 |
| ჩოკაგო-ნეშვილი | 1:3 |
| კალგარი-სან ხოსე | 0:1 |
| კოლორადო-მინესოტა | 3:2 |
| ვანკუვერი-ედმონტონი | 2:2(1:0ბ) |

# სუბრ ნშანის დასუფთავება დაიწყო

დასაწყისი მე-8 გვერდზე

სხვა სადავო ტაძრების მეცნიერული შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს პარიტეტულ საწყისებზე მათი გადაცემა სომხეთში, ლორე-ტაშირის ეპარქიაში, საქართველოს ეკლესიისთვის, საქართველოში კი – სომხური მხარისთვის, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

სომხეთის სამოციქულო ეკლესიისათვის თბილისში, ვერცხლის ქუჩაზე მდებარე წმინდა ნიკოლოზის უმოქმედო ტაძართან („სურბ ნშანი") დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაკეთებული განცხადება აბსოლუტურად გაუგებარია. ეჩმიაძინის პრესსამსახურის ხელმძღვანელის ვაგრამ მელიქიანის განცხადებით, „სურბ ნშანის" აშენებისას, ტაძრის დამაარსებლის მიერ 1703 წელს გაკეთებული ლაპიდარული წარწერა ნათლად მოწმობს, რომ ეკლესია სომხურია.

– სომხური ტაძარი თბილისში ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დამყარებამდე მოქმედებდა და ამის დამამტკიცებელი ფაქტებიც არსებობს. უცნაურია საქართველოს საპატრიარქოს განცხადების ის ნაწილი, სადაც სიმეტრიის პრინციპის და სომხეთში არსებული ქართული ტაძრების საქართველოს საპატრიარქოს ლორე-ტაშირის ეპარქიისთვის გადაცემის შესახებაა საუბარი. ეჩმიაძინს ამ საკითხთან დაკავშირებით მკაფიო ხედვა აქვს – სომხეთის სამოციქულო ეკლესია და სომხეთის ხელისუფლება მზად არიან ძალისხმევა მიმართონ იმისაკენ, რომ სომხეთში მცხოვრებმა ქართველმა საზოგადოებამ სრულფასოვანი სულიერი ცხოვრებით იცხოვროს. ეჩმიაძინი იგივეს ელის საქართველოს ხელისუფლებასა და საპატრიარქოსაგან საქართველოში მცხოვრებ სომხებთან მიმართებაში, – განაცხადა ვაგრამ მელიქიანმა.

ამ ტაძართან დაკავშირებული პრობლემების გარდა, სომხური მხარე თბილისში არსებული სხვა სომხური ძეგლების მდგომარეობითაც არის დაინტერესებული. პარალელურად სურს, თბილისში მოღვაწე სომეხი ხელოვანების საცხოვრებელი ფართები შეინარჩუნოს და იქ მუზეუმები მოაწყოს. როგორც სომხეთის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი ლევონ ანანიანი აცხადებს, სომხეთის ხელისუფლებას თბილისში სოლოლაკში მდებარე ოვანეს თუმანიანის სახლის შესასყიდად ერთი თვე აქვს. მისი თქმით, ცნობილი სომეხი მწერლის სახლი ამჟამად ახალგაზრდა იურისტს გვარად ლეჟავას ეკუთვნის, რომელთანაც მოლაპარაკებები წარმატებულად წარიმართა და მათი შიში არ გამართლდა.

– აღმოჩნდა, რომ სახლის მფლობელი არა მეწარმე, არამედ ახალგაზრდა, განათლებული, სიმპათიური იურისტია, რომელიც ოვანეს თუმანიანს ძალიან აფასებს. ეს ახალგაზრდა დაქორწინებას აპირებს და ოჯახის შექმნისათვის ქონება ესაჭიროება. ლეჟავა თანახმაა ეს 120 კვადრატულ-მეტრიანი ბინა სომხურ მხარეს დაუთმოს, თუ სანაცვლოდ იმავე უბანში სომხეთის ხელისუფლება სხვა სახლით უზრუნველყოფს. სომხეთის ხელისუფლებას კი გადაწყვეტილების მისაღებად ერთი თვე აქვს, – განაცხადა ლევონ ანანიანმა, რითაც უარყო რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნულ სახლს ერთ-ერთი თურქული კომპანია ყიდულობდა და შიგ მუშების შესახლებას აპირებდა.

რაც შეეხება სურბ ნიშანის ეკლესიას, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას უწოდებს, ის მრავალი წელია მოქმედი არ ყოფილა და იმ ტაძრების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სადავოა ქართული და სომხური ეკლესიებისთვის. ტაძარი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია, ვითარება კი ახალი წლის დღეებში გაჩენილმა ხანძარმა კიდევ უფრო გაართულა. ბოლო დროს ტაძარში ცეცხლი რამდენჯერმე გაჩნდა. ეს ტაძარი, რომელსაც დიდი ისტორია აქვს, მოქმედი 1936 წლამდე იყო. როცა ეკლესიაში ღვთისმსახურება შეწყდა, იქ ჯერ მაკარონის ფაბრიკა გახსნეს, შემდეგ კი – საჯარო ბიბლიოთეკის საცავი. ხანძრის გაჩენამდე ტაძარში საბჭოთა კავშირის დროინდელი წიგნები ინახებოდა. ხანძრის გაჩენის მიზეზი ჯერ-ჯერობით დაუდგენელია. შენობა სასწრაფოდ გასუფთავებას და სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებს. სუბრ ნშანი ამჟამად, საქართველოს კულტურის სამინისტროს ბალანსზეა.

# ხვალ თეონა ქუმსიაშვილს გაიხსენებენ

ეკა ირემაშვილი

27 იანვარს ნინოობის დღესასწაულზე თბილისში, პროფკავშირების კულტურის სახლში ხევსურეთში ტრაგიკულად დაღუპული მომღერლის თეონა ქუმსიაშვილის ხსოვნის საღამო გაიმართება.

ხსოვნის საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ფოლკლორული ანსამბლები და მომღერლები, რომლებიც შეასრულებენ თეონას სიმღერებს, წაიკითხავენ მის მიერ დაწერილ და მისდამი მიძღვნილ ლექსებს. პროფკავშირების კულტურის სახლში ყველა ის ადამიანი შეიკრიბება, ვისაც თეონა და მისი შემოქმედება გამორჩეულად უყვარდა.

თეონა ქუმსიაშვილი პოეტ გელა დაიაურის მეუღლე იყო. 27 იანვარი მისი დაბადების დღეა, უბადლო მომღერალს 28 წელი შეუსრულდებოდა. თეონა ქუმსიაშვილი ბავშვობიდან აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ფოლკლორულ კონცერტებსა და ფესტივალებში. იყო ანსამბლ „სიონის ზარების" სოლისტი. თავად წერდა ტექსტებს



საკუთარი მელოდიებისთვის. გამოცემული ჰქონდა სიმღერების სოლო ალბომი „ვეღარც სიმღერით გითხარ ამდენი სიყვარული". მისი სიმღერები მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლოდა და ყველა აღნიშნავდა, რომ თეონა საოცრად სულში ჩამწვდომად მღეროდა.

მომღერალი ყოველთვის იღებდა მონაწილეობას ღონისძიებაში „მთის საჩუქარი ბარს", რომელიც ბავშვთა ქალაქ „მზიურში" იმართებოდა და მასში მთის მაცხოვრებლები თავისი კულტურით იყვნენ გაერთიანებული.

თეონა ქუმსიაშვილი გასული წლის ზაფხულში ხევსურეთში დატრიალებულ ტრაგედიას შეეწირა. მუცოს ხეობაში დღეობიდან მომავალი ბერდია არაბული და მისი მგზავრები მანქანით ადიდებულ მდინარეში გადავარდნენ, რომელშიც 10 ადამიანი იმყოფებოდა – თეონა ქუმსიაშვილი და მისი მეუღლე, ხევსური პოეტი და მომღერალი გელა დაიაური 2 შვილთან (2 წლის დემეტრე და 9 თვის ჯარჯი), თეონას და ნათია ქუმსიაშვილი, ძმა თორნიკე ქუმსიაშვილი, ნათესავი თეონა ჭინჭარაული, მეგობარი ბერდია არაბული, მისი მეუღლე სოფიო ლოლობერიძე და მათი 4 თვის შვილი მამუკა. ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა 7 ადამიანი. გადარჩნენ გელა დაიაური, თორნიკე ქუმსიაშვილი და თეონა ჭინჭარაული. დემეტრე დაიაურისა და მამუკა არაბულის ცხედრების პოვნა ვერ მოხერხდა.

პროფკავშირების კულტურის სახლში დაგეგმილ ხსოვნის საღამოზე შედგება თეონა ქუმსიაშვილის ლექსების კრებულის „მთის ბულბული" პრეზენტაცია. ღონისძიებაზე დასწრება კი თავისუფალია.

# ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაცია 2012 წელს დასრულდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სახელმწიფოს დაფინანსებით განხორციელდა ტაძრის გეოლოგიური და კონსტრუქციული მდგრადობის კვლევა. 2008 წელს მომზადდა ძეგლის კონსტრუქციული გამაგრების სრული პროექტი, რომლის მიხედვითაც მომდევნო წელს დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები. ბაგრატის ტაძარი თავისი მთელი მშვენიერებითა და სილამაზით შემოდგომაზე წარდგება ყველას წინაშე. აქ რაც ვნახეთ, ეს არის უმაღლესი დონის სარესტავრაციო სამუშაოები, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

2011 წლის 19-29 ივნისს ბაგრატის ტაძრისა და გელათის სარეაბილიტაციო პროგრამის მსვლელობა პარიზში გამართულ იუნესკოს რიგით 35-ე სხდომაზე განიხილეს და დადებითად შეაფასეს.

ბაგრატის ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა და იგი აგებულია X-XI საუკუნეების მიჯნაზე ბაგრატ III-ის მეფობაში ქუთაისში „უქიმერიონის გორაზე". თავისი ხუროთმოძღვრული და მხატვრული ღირსებით ბაგრატის ტაძარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული არქიტექტურის ისტორიაში, როგორც განვითარებული შუა საუკუნეების დროინდელი სტილის საბოლოოდ დამამკვიდრებელ ნაწარმოებს.

– XVII საუკუნის დასასრულამდე ძეგლი უვნებლად იდგა. 1692 წელს, როგორც ვახუშტი მოგვითხრობს, „შემუსრეს ოსმალთა". XIX საუკუნის 30-იან წლებამდე შემორჩენილი იყო ტაძრის სამხრეთი და დასავლეთი კარიბჭეებიც. ბაგრატის ტაძარი ტრიკონქის ტიპის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. მშენებლობის დამთავრებამდე ძეგლს ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი, ხოლო XI საუკუნის I ნახევარში სამხრეთიდან და დასავლეთიდან მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭეები მიაშენეს. საკმაოდ მდიდარია ტაძრის მორთულობა. ფასადების გასაფორმებლად გამოყენებული დეკორატიული თაღების სისტემა ფასადებს ერთმანეთთან აკავშირებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმოსავლეთი ფასადი – ხუთი დეკორატიული თაღითა და ორი ღრმა ნიშით. სავსებით დასრულებული სახე აქვს სარკმელთა მოჩუქურთმებულ საპირეებსა და „სათაურებს". უხვადაა მოჩუქურთმებული კარიბჭეები. ძირითადი ნაგებობის ორნამეტს გრაფიკულობა, ხოლო კარიბჭეთა შემკულობას ღრმა, პლასტიკური კვეთა ახასიათებს. სამხრეთ კარიბჭეში შემორჩენილია ფრესკის კვალი – ღვთისმშობლის გამოსახულება. ტაძრის ინტერიერსა და ეზოში აწყვია ქვაზე ნაკვეთი, რელიეფებითა და ორნამენტით შემკული დეტალები და ფრაგმენრები, რომლებიც ტაძრის შიდა კედლებსა და ფასადებს ამშვენდა. ბაგრატის ტაძრის დახვეწილი პროპორციები, გარე მასების ჰარმონიულობა, გრანდიოზული შიდა სივრცე, ფასადების კომპოზიცია, მრავალფეროვანი მორთულობა, რთულ ტექნიკურ ამოცანათა დაძლევა მოწმობს არქიტექტორის შესანიშნავ მხატვრულ ნიჭს, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასა და ოსტატობას, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს უფლება მშვიდად ვუყუროთ, როგორც ინგრევა ბაგრატის ტაძარი. მის გადასარჩენად ყველაფერს ვაკეთებთ, – განაცხადა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

ტაძრის აღდგენა-კონსერვაციის სამუშაოები 1952 წლიდან დაიწყო. პარალელურად მიმდინარეობს ძეგლის მეცნიერული შესწავლა და გამოკვლევა. 1994 წელს ბაგრატის ტაძარი გელათის მონასტერთან ერთად შეტანილ იქნა იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. 2009 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო ტაძრის რესტავრაცია, რაც მასზე გუმბათის დადგმით უნდა დასრულდეს, პროექტის მიმდინარეობამ საზოგადოების არაერთგვაროვანი და მძაფრი რეაქცია გამოიწვია. 2009 წლის აგვისტოს დასაწყისში ბაგრატის ტაძარში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა მდრიდრული სამარხი, რომელიც დიდგვაროვან ქალბატონს ეკუთვნოდა. გამოთქმული მოსაზრებით, სამარხი შესაძლოა ეკუთვნოდეს აფხაზთა მეფის, ლეონ II-ს დედას, ხაზართა ხაკანის ასულს. 2010 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა ბაგრატის ტაძარი საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების სიაში ჩარიცხა. მიზეზი 2009 წელს ტაძარზე დაწყებული სარეკონსტრუქციო სამუშაო გახდა, რომელიც შენობის ავთენტურობასა და მთლიანობას არღვევს.

– ბაგრატის ტაძარი, როგორც ქვეყნის გამაერთიანებელი მეფის ბაგრატ III-ის სახელთან დაკავშირებული ქართული არქიტექტურის შედევრი, ქართველი ხალხისათვის ღირშესანიშნავი და უნიკალურია. წლების განმავლობაში ტაძრის აღდგენასა და რეკონსტრუქციას საზოგადოების როგორც საერო, ასევე სასულიერო ნაწილი, უცვლელად ითხოვდა. 2005-2007 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოხდა ბაგრატის ტაძრის კვლევითი-არქეოლოგიური სამუშაოები. ამავე პერიოდში, სახელმწიფოს დაფინანსებით განხორციელდა ტაძრის გეოლოგიური და კონსტრუქციული მდგრადობის კვლევა. 2008 წელს მომზადდა ძეგლის კონსტრუქციული გამაგრების სრული პროექტი. წლების განმავლობაში, ძეგლთა დამცველთა მთავარ თავსატეხსა და ამოცანას წარმოადგენდა ტაძრის იმ მეთოდოლოგიით აღდგენა, რომელიც ამავდროულად უძველეს ტაძარს მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსს შეუნარჩუნებდა. პარიზში გამართულ იუნესკოს რიგით 35-ე სხდომაზე ბაგრატის ტაძრისა და გელათის სარეაბილიტაციო პროგრამის მსვლელობა დადებითად შეაფასეს. იუნესკოს კომიტეტის 34-ე სესიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამ ეტაპზე, იკრომის, იკომოსისა და იუნესკოს ექსპერტების აქტიური მონაწილეობით და კონსულტაციით სრულდება ბაგრატის ტაძრის სრული რეაბილიტაციის კონცეფციის შემუშავება. კონცეფციის მიზანია პირველ რიგში, დაცული იყოს ძეგლის ინტერესები, დაკმაყოფილდეს საზოგადოების მთავარი მოთხოვნა ძეგლის აღდგენასთან დაკავშირებით, შემუშავდეს ძეგლის ინფრასტრუქტურული კონცეფცია თანამედროვე სტანდარტებით, რაც საბოლოო უზრუნველყოფს ბაგრატის ტაძრის ამოღებას საფრთხის ქვეშ არსებული ძეგლების ნუსხიდან. ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2012 წლის შემოდგომაზე დასრულდება. 2012 წელს ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა კულტურულ მემკვიდრეობის სფეროში, სწორედ ბაგრატის ტაძრის სრული რეაბილიტაცია იქნება. ერთიანი საქართველოს სიმბოლოს – აღდგენილი ბაგრატის ტაძრის გახსნის ღონისძიება 2012 წლის შემოდგომაზე გაიმართება, – აღნიშნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა.

ბაგრატის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ, ნიკოლოზ რურუამ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკას და მის დაქვემდებარებაში მყოფ 12 ფილიალს 800 წიგნი და კომპიუტერები გადასცა. მინისტრმა ასევე მოინახულა ქალაქ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. თეატრის შენობის რეაბილიტაცია 2011 წლის ნოემბერში დაიწყო და მისი გახსნა 2012 წლის 2 მაისს – ქუთაისქალაქობის დღესასწაულზეა დაგეგმილი.

## ჰოროსკოპი @^ ბფყღ3ბცსღბც

.დცჯფვ უფბსღფჯბცობყცს=

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** – სანიმუშო ადამიანად გთვლიან, ასე განაგრძეთ. **ლომი** – ახალი საქმე გამოგიჩნდებათ, ძალიან დაგაინტერესებთ. **ქალწული** – იმიჯის შეცვლა კარგი იქნება. **სასწორი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ მაინც გაუფრთხილდით, სულ ნუ დახარჯავთ. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი დღეა, ყველა საქმე გამოგივათ. **მშვილდოსანი** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მერწყული** – მშვენიერი დღეა, დიდი ხნის უნახავ ადამიანს შეხვდებით. **თევზები** – კარგი დღეა სიახლის დასამკვიდრებლად, იფიქრეთ ამაზე.

უბცე3ღც,ს ,ცღყბც3 ღქცს=



## h3xცღx3ღბ ,

**შვეულად:** 1. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელის შემქმნელი ქართველი მრეწველი; 2. დიდი ფორმატის უხვად დასურათებული, მდიდრულად გაფორმებული ბეჭდვითი გამოცემა; 3. ჩეხი კომპოზიტორი; 4. გია დანელიას კინოკომედია; 5. სიტყვის ბოლოსართი გრამატიკაში; 7. ზოგიერთი სასურსათო საქონლის საერთო სახელწოდება; 11. ხელის მინიშნებით, გამომხატველობითი მოძრაობა; 12. ადამიანის, ცხოველის ძვლების ერთობლიობა; 13. ქალის ლამაზად მოწყობილი სასტუმრო ოთახი ახლობლების მისაღებად ძველად; 14. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა შექსპირის ტრაგედიები; 15. მუსლიმანთა ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 17. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 19. წყალქვეშა კლდე.

**თარაზულად:** 5. ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქი; 6. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 8. აფრიკული მოლაპარაკე თუთიყუში; 9. წნული ქოხი სამეგრელოში; 10. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 11. წარწერა საბანკო ჩეკზე, სხვა პირზე გადაცემის შესახებ; 13. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ბრაზილიელი ავტომრბოლელი; 14. ქვეწარმავლის შხამი; 16. მესაქონლეობის ფერმა ამერიკაში; 18. ფინური აბანო; 20. გოგირდმჟავას მარილი; 21. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეჯბ h3xცღx3ღც,ბც გფცე[ც,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ლელქაში; 2. პოტომაკი; 3. ლიტანია; 5. კორექცია; 7. ჩონგური; 9. პლაცკარტი; 13. სანტოსი; 15. აიაზმა; 16. მიქლერი; 18. იბიცა.

**თარაზულად:** 4. რედიკული; 6. ეკოლოგია; 8. ექსტრაქტორი; 10. ნიგერია; 11. აბი; 12. პრიოდი; 14. სარმა; 17. ლალი; 19. დაფნე; 20. ალგოლოგი; 21. იაბო; 22. ბარბარისი; 23. ბაკარდი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ანილო; 2. აზალია; 3. ლეპტოპი; 4. მარკონი; 5. ფურმერი; 7. ზუნდალი; 11. პროზა; 12. ხენდორი; 13. კალორია; 14. კასკადი; 15. დელოსი; 17. აფექტი; 19. ვაგა.

**თარაზულად:** 5. ფარნეზე; 6. კოდექსი; 8. იენა; 9. კობზა; 10. ეგზემა; 11. პაუო; 13. კომუნიკე; 14. კროკი; 16. გაუდი; 18. ეზოპო; 20. დაუგავა; 21. სპეტაკი.

# მედვედევი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარს არ იტყვის



რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი სამომავლოდ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმას არ აპირებს.

მედვედევი დარწმუნებულია, რომ „მისი ასაკი არც იმდენად სერიოზულია, რომ პოლიტიკურ ბატალიებზე უარი თქვას“.

„არასოდეს მითქვამს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეტად მონაწილეობას აღარ ვაპირებ. შეგახსენებთ, რომ მხოლოდ 46 წლის ვარ და ეს ჯერ არც ისეთი სერიოზული ასაკია, რომ სამომავლო პოლიტიკურ ბატალიებზე უარი ვთქვა“, – განაცხადა მედვედევმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე.

პრეზიდენტის თქმით, „ამჯერად მან გადაწყვიტა, მარტის არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს, რამდენადაც იმ ორი ადამიანიდან, რომელიც ერთ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, კანდიდატურა იმან უნდა დააყენოს, რომელსაც ამ მომენტისთვის შესაძლოა, შანსები რამდენადმე მეტი აქვს“.

– ასეა თუ არა ეს, მარტის არჩევნები აჩვენებს, – დასძინა მან.

ამასთან, მედვედევმა არ გამორიცხა, რომ ბალოტნაიას მოედანსა და სახაროვის გამზირზე მომიტინგეთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც სურდათ, რომ მას პრეზიდენტად ეყარა კენჭი.

– რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას შესაძლოა, კიდევ ერთხელ შეხვდეს, – ამის შესახებ გაზეთ „კომერსანტთან“ ინტერვიუში რუსეთში აშშ-ის ახალმა ელჩმა მაიკლ მაკფოლმა განაცხადა.

– პრეზიდენტებს ობამასა და მედვედევს ჰქონდათ და აქვთ კარგი სამუშაო ურთიერთობა, რომელმაც შედეგი მოიტანა. შესაძლოა, ისინი სახელმწიფოების მეთაურების რანგში ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეხვდნენ, თუმცა ჯერჯერობით ამის დადასტურებით თქმა შეუძლებელია, – განაცხადა მაკფოლმა.

მისივე თქმით, „მედვედევთან თანამშრომლობა ობამასთან არა მხოლოდ ნაყოფიერი, არამედ სასიამოვნოც აღმოჩნდა“.

შეგახსენებთ, რომ დიმიტრი მედვედევმა შრომითი ბიოგრაფია ქუჩების დასუფთავებით დაიწყო. ქვეყნის პირველმა პირმა კრემლში კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიაზე განაცხადა, რომ პირველად ის სამსახურში მეეზოვედ მიიღეს.

– შრომის წიგნაკში პირველი ჩანაწერი გახლავთ „მეეზოვე“, უკანასკნელი კი „პრეზიდენტი“, – განაცხადა მან.

როგორც პრეზიდენტის მონაყოლოდან ირკვევა, ქუჩებს ის სტუდენტობის პერიოდში გვიდა.

# უიტნი ჰიუსტონი გაკოტრდა

უიტნი ჰიუსტონი გაკოტრდა. მომღერალმა საკუთარი 100 მილიონიანი ქონება სულ მთლიანად გაფლანგა და ახლა იძულებულია თანხა მეგობრებსა და ახლობლებს სთხოვოს, თუნდაც ყოველდღიური საჭიროებისათვის.

უიტნი ჰიუსტონთან დაახლოებული პირის ინფორმაციით, რომ არა მეგობრების დახმარება, მომღერალი დიდი ხნის უკან აღმოჩნდებოდა ქუჩაში.



48 წლის მომღერალი კოკაინდამოკიდებულია და მისი ქონებაც სწორედ ამ მიმართულებით დაიხარჯა. მომღერალმა რამდენჯერმე მკურნალობის სრული კურსიც ჩაიტარა.

ალკოჰოლისა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მოსახსნელად პროფილაქტიკის კურსი უიტნი ჰიუსტონმა ცოტა ხნის წინაც გაიარა. აღნიშნული ინფორმაცია ვარსკვლავის წარმომადგენელმა, კრისტენ ფოსტერმა გაავრცელა.

ჰიუსტონის კარიერის პიკი 1990 წელი იყო, როცა გამოვიდა ფილმი „პირადი მცველი“. ის რამდენიმე წელია ნარკოტიკდამოკიდებულებას ებრძვის, უიტნი ორჯერ მკურნალობდა ნარკოლოგიურ ცენტრში.

მესამედ კი მან მედიკოსებს მიაკითხა ერთხელ და სამუდამოდ ამ დაავადებისგან გასათავისუფლებლად.

2009 წელს მომღერალმა ალბომი, „აი ლუქ თუ იუ“ გამოუშვა, რომელმაც დიდი კრიტიკა დაიმსახურა.

ამის შემდეგ ჰიუსტონმა განაცხადა, რომ სრულიად ჯანმრთელი იყო, მიუხედავად ამისა, მისი რამდენიმე კონცერტი ახსნა-განმარტების გარეშე გადაიდო, რამაც პუბლიკის უსიამოვნება გამოიწვია. 2000 წლიდან მოყოლებული მომღერლის სახელი ხშირად აისახებოდა პრესის ყდებზე.

ჰიუსტონი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ვარსკვლავი ყველაზე დიდი რაოდენობის ჯილდოებით. უიტნი ფლობს „გრემი“-ს „ემი“-ს და სხვა ბევრ ჯილდოებს.

ჰიუსტონის დისკოგრაფია მოიცავს, შვიდ ალბომს და სამ საუნდტრეკს ფილმებში, „პირადი მცველი“, „შეწყალების მოლოდინში“ და „წმინდანის ცოლი“.

ვარსკვლავმა არა მხოლოდ იმღერა, არამედ მთავარი როლებიც კი შეასრულა აღნიშნულ ფილმებში. ასევე, ჰიუსტონი მონაწილეობდა რამდენიმე სერიალის ეპიზოდშიც.

# პუტინი ჩრდილოეთ კავკასიის დათმობას არ აპირებს

რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი კისლოვოდსკში ფედერაციის რესპუბლიკების ლიდერებთან შეხვედრაზე აცხადებს, რომ რუსეთის ძლიერების მთავარ ბერკეტს ჩრდილოეთ კავკასია წარმოადგენს და შიშობს, რომ თუ ქვეყანას მის ამ ერთეულებს ჩამოაცილებენ, ის მეორეხარისხოვან რეგიონეულ ძალად გადაიქცევა.

ვლადიმერ პუტინმა ყურადღება წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გუბერნატორების არჩევითობაზეც შეაჩერა.

განსაკუთრებული მხარდაჭერა კი შიდაპოლიტიკურ სიტუაციაში ჩეჩნეთის პრეზიდენტის რამზან კადიროვისგან მიიღო. კადიროვმა განაცხადა, მისი ნება რომ იყოს, რუსეთში მიმდინარე საპროტესტო აქციის ყველა ორგანიზატორს ციხეში ჩასვამდა.




– ჩვენი პოლიტიკური კონკურენტები საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ ჩრდილოეთ კავკასია რუსეთს ჩამოაცილონ. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს ამ რეგიონის მნიშვნელობას. თუ რუსეთს ნაციონალური ერთეულები ჩამოშორდება, ქვეყანა ულიმღამო და მესამეხარისხოვან რეგიონულ ძალად გადაიქცევა.

რუსეთი და რუსი ხალხი მაგნიტივითაა, ისინი ფედერაციის სხვა ერის ადამიანებს იზიდავენ თავისკენ. ამის გარეშე ქვეყანა ვერ იარსებებს, ამით კი პირველ რიგში რუსები დაზარალდებიან. ჩვენ არ გვაქვს უფლება ეს დავუშვათ, – აცხადებს ვლადიმერ პუტინი.

ამასთან, რუსეთის პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ ნაციონალური საკითხი „ქვეყნისათვის ფუნდამენტალურ ხასიათს ატარებს“.

მორიგ წინასაარჩევნო სტატიაში, რომელიც ამჟამად „ნეზავისიმაია გაზეტაშია“ გამოქვეყნებული, ვლადიმერ პუტინი წერს, რომ რუსეთი მონოეთნიკური სახელმწიფო უნდა იყოს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ „დღეს მოქალაქეებს სერიოზულად აღელვებთ და პირდაპირ ვთქვათ – აღიზიანებთ მრავალი რამ, რაც მასობრივ მიგრაციასთან არის დაკავშირებული“. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

თავის სტატტას „რუსეთი: ნაციონალური საკითხი“ ვლადიმერ პუტინი დასავლეთში არსებული „მულტიკულტურული პროქტის“ კრიტიკით იწყებს.

– მრავალ ქვეყანაში ჩნდება ჩაკეტილი ნაციონალურ-რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც არა თუ ასიმილირებაზე, არამედ, ადაპტირებაზეც აცხადებენ უარს. ცნობილია კვარატლები და მთელი ქალაქები, სადაც უკვე თაობები ცხოვრობენ ჩამოსული ადამიანებისა სოციალურ დახმარებებზე და ისინი იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ცხოვრობენ, არ ლაპარაკობენ, – წერს რუსეთის პრემიერ-მინისტრი და აგრძელებს:

– ჩვენი ნაციონალური და მიგრაციული პრობლემები საბჭოთა კავშირის დაშლასთან პირდაპირ არის დაკავშირებული. ამის შემდეგ ვლადიმერ პუტინი თავის საყვარელ თემაზე გადადის და საბჭოთა კავშირის დაშლის კატასტროფულ შედეგებზე ავითარებს მსჯელობას.

– ქვეყნის დაშლისას ჩვენ აღმოვჩნდით ზღვარზე, ცალკეულ რეგიონებში კი სამოქალაქო ომის ზღვარს მიღმა, თანაც ერთნიკურ საფუძველზე. უზარმაზარი ძალისხმევითა და დიდი მსხვერპლის ფასად შევძელით ჩვენ ამ კერების ჩახშობა, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ეს პრობლემა მოხსნილია, – აცხადებს ვლადიმერ პუტინი და აღნიშნავს, რომ „ისტორიული რუსეთი ეს ეთნიკური სახელმწიფო არ არის“.

– როდესაც იწყებენ ყვირილს – კმარა კავკასიის კვება, იცოდეთ, რომ ხვალ უცილობლად იქნება მოწოდება – კმარა ციმბირის, შორეული აღმსავლეთის, ურალის, პოვოლჟიეს, პოდმოსკოვიეს კვება..“ სწორედ ამ რეცეპტებით მოქმედებდნენ ისინი, ვინც ყველაფერი საბჭოთა კავშირის დარღვევამდე მიიყვანა, – წერს პუტინი.

თუმცა, რუსეთის პრემიერ-მინისტრი აღიარებს, რომ ნაციონალური საკითხი რუსეთისათვის მტკივნეული თემაა.

– მიმაჩნია, რომ საჭიროა რეგისტრაციის წესების გამკაცრება, ისევე როგორც სანქციებისა, მათი დარღვევების გამო. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მოქალაქეების საკონსტიტუციო უფლებების დარღვევის გარეშე უნდა მიმდინარეობდეს. ის ვინც რუსეთის სხვადასხვა სუბიექტებსა და ქალაქებში სამუშაოდ ან სასწავლებლად ჩამოდის და ისინი განსხვავებული კულტურულ-ისტორიული ტრადიციების მატარებელი არიან, პატივისცენით უნდა მოეპყრან ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს, – ამბობს პუტინი და აღნიშნავს, რომ „ყველაფერი სხვა – არაადეკვატური, აგრესიული, გამომწვევი და უპატივისცემო ქმედებები კი კანონის მკაცრ პასუხს უნდა წააწყდნენ“, – ამბობს ვლადიმერ პუტინი.

– ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ერთად ვცხოვრობდით, ჩვენ ერთად გავიმარჯვეთ საშინელ ომში და მათ, ვისაც ჩვენი დაშლა უნდათ, შემიძლია მხოლოდ ერთი რამ გითხრათ – ვერ მოესწრებით, – აცხადებს სტატიის ბოლოს ვლადიმერ პუტინი.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლჰ,ჰ,ბ



### კლიმენტი მატუას გახსენება

უშენოდ მოსულ დაბადების დღეს – 26 იანვარს გილოცავთ. შენი სახელი ყოველთვის ტკივილიანი მონატრების მომგვრელი იქნება ყველასთვის, ვინც შენ გიცნობდა. შენი სიყვარული ტრიალებს შენს ოჯახში. აქ იყავი და ყველას სიცოცხლეს გვილამაზებდი. როგორ გვიყვარდა შენი დაბადების დღე, როგორ ვემზადებოდით, რომ შენეული განთქმული სტუმართმოყვარეობით შევხვედროდით მეგობრებს, ახლობლებს. სწორედ შენზეა ნათქვამი: „ათას ცოცხალსა ბევრჯერ სჯობს, სამარედ ერთი მკვდარია“.

შენი სახელი არასდროს მიეცემა დავიწყებას.
გვწამს, რომ განათებული იქნება შენი სპეტაკი სული.
ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

*მეგობრები*

გულრიფშის რაიონის განათლების განყოფილება, გაზეთ „გულრიფშის ზარების“ რედაქცია და რაიონის ინტელიგენცია იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი, შოთა რუსთაველის სახელობის გულრიფშის საშუალო სკოლის დირექტორი

**ვლადიმერ ლევანის ძე კვირკველია**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ცენტრის თანამშრომელს, მაია ცინცაძეს, დედის

**ოფელია ცინცაძე-ფირცხალაიშვილის**

გარდაცვალების გამო.

ლეილა ლაკერბაია და დალილა ხორავა ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან მაზლიშვილისა და ბიძაშვილის

**თენგიზ სერგოს ძე ხორავას**

გარდაცვალებას.

**ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლჰ,ჰ,ბ ვბბქჰ,ფ .ჯდჰკლქჰ7 რდბჰბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლჰ8**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 26 იანვარი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ევროპული არჩევანი **14.00** აღმოაჩინე საქართველო **14.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **15.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **17.00** პირველი ტელევიზია **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.00** სი ბემოლი **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** მხ. ფილმი **"წმინდანი"** (ვ. კილმერი) **02.20** საფარი **02.50** მხ. ფილმი **"დედა"** **04.40** მხ. ფილმი **"ბოლო ცეკვა ჩემია"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 14.00** დოკ. ფილმი **16.00, 17.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"მეცამეტე"** **01.00** მხ. ფილმი **"სიყვარული და სხვა უსიამოვნებანი"**

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **17.00** სერ. **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** პროფილი (ახალი) **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** შუა დღე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი (ტიტ.)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"დაკარგულები 6"** **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.50** მხ. ფილმი **"ჯონი მნემონიკი"** (კ. რივზი) **02.10** მხ. ფილმი **"მეცხრე ლეგიონი"** (ჩ. ტატუმი) **04.00** მხ. ფილმი **"საბედისწერო მოგზაურობა"** (18) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი (გან.) **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"პროექტი "ბორისი"** **21.00** სერ. **"ჯაშუში ქალი"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"ექიმი ქმორი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.20** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **"ოსტატი და მარგარიტა"** **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **15.50** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.35** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"კარიერი"** **13.35** კონცერტი – თეატრულური კვარტეტი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.55** მხ. ფილმი **"თოვლის დედოფალი"** 1-ლი ნ.**17.05** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** დრო და ტრადიციები **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.25** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.25** მხ. ფილმი **"სხვისი შვილები"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **22.25** დოკ. ფილმი "სამთავროს დედათა მონასტერი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "მეფე და ბერი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ. ფილმი **"გამოსასყიდი"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 იანვარი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,669

ევრო —2,1296

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5759

რუსული რუბლი — 0,0526

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 0—4, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2-5, ღამით — -3-0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0-3, ღამით — -5 -2




# 27 იანვრიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად




## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

### მეორე ტომი

### 100 გამოჩენილი მხედართმთავარი

გამოსულია

„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

**პირველი ტომი – ტირანები**




გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- კანიბალიზმის ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები – იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

ჩვენს საყვარელ
ლალი ქსოვრელიძეს
ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
ბედნიერებას, სიხარულს ოჯახთან
ერთად. ღვთის წყალობა
არ მოჰკლებოდეს!
*„ახალი თაობა“*

## ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაცია 2012 წელს დასრულდება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ქუთაისში ვიზიტისას რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გამართა. ქუთაისში დაგეგმილ მთავრობის სხდომამდე მან ქუთაისში მიმდინარე ის სამუშაოები მოინახულა, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით ხორციელდება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორთან, ნიკოლოზ ვაჩეიშვილთან ერთად ბაგრატის ტაძრის სარემონტო სამუშაოები დაათვალიერა.

– ბაგრატის ტაძრის კვლევითი და არქეოლოგიური სამუშაოები 2005-2007 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა. ამავე პერიოდში,

გაგრძელება მე-10 გვერდზე



# 18 იანვრიდან

**ექსკლუზივი**

„ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ მე-18 ტომი

**ფვეყლსტყხ**

**უფჰტსხ ლფ ოხუყხ ტჰსფლ * კფჰხ**

## hჰჯცღჯჰღბ ფ

**შვეულად:** 1. სახელმწიფო აზიაში; 2. ამერიკელი მოკრივე, დაუმარცხებელი ჩემპიონი მძიმე წონაში; 3. ციური სხეული; 5. ტყვედ წაყვანილი ქართველებისგან შემდგარი პრივილეგირებული ქვეითი ჯარი ოსმალეთში; 7. ქალაქი-მუზეუმი იტალიაში; 9. კანონებში არსებული წინააღმდეგობა, შეუსაბამობა; 13. პოპულარული სიცილიური სადესერტო ღვინო; 15. კროსვორდის გამომგონებელი; 16. პიტნითა და ყინულით შეზავებული ვისკი ან კონიაკი; 18. მღრღნელი ჭია, მატლის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 4. საბილიარდოს მოსამარსახურე პირი; 6. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 8. დანიის დედაქალაქი; 10. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა; 11. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 12. დაქირავებული კავალერი; 14. ბაგირებზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 17. ლუდის სასმელი კათხა; 19. პურეული მცენარე; 20. დანადგარი, რომელშიც ხორციელდებოდა ატომგულის გაყოფის ჯაჭვური რეაქცია; 21. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 22. სამძებრო პოლიციის აგენტი; 23. ავადმყოფური, ამაღლებული მხიარული განწყობა.




*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*